პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი,
15
ივნისი
1936 წ.
№ 136 (4596

დღეს გაზეთში:

— ლ. ბერია — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და ამიერ-კავკასიის ფედერაცია.
— სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო - სახალხო განხილვა
— უცხოეთის პრესა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ
— გერმან შუბიძე — სადაც საიათნოვა ბანაობდა (პატარა ფელეტონი)
— დ. ზასლავსკი — შოთა რუსთაველი (ფელეტონი)
— ჩენ ძი-ტანის ბრძანება გუანდუნის ჯარებს.
— კონფლიქტი ნანკინსა და სამხრეთ-დასავლეთ დაჯგუფებას შორის
— ბეიპინის სტუდენტთა მანიფესტი
— გუანდუნის ჯარების შეკრება.
— ანტიიაპონური დემონსტრაცია
— ბლიუმის განცხადება სენატის სხდომაზე

ლ. ბერია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და ამიერ-კავკასიის ფედერაცია

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ამხანაგ სტალინის მოხსენების გამო ძირითადად მოიწონა პროექტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციისა, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე კომუნიზმის საქმისათვის მთელს მსოფლიოში.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია ადასტურებს იმ უდიდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილ წლებში.

ახლა ამ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებათა საფუძველზე, მასების აქტივობისა და პოლიტიკური შეგნების ზრდის საფუძველზე ჩვენ უკვე შეგვიძლიან ბოლომდე გავშალოთ საბჭოთა დემოკრატია, მშრომელთა ნამდვილი დემოკრატია.

იმ დროს, როცა კაპიტალისტური სახელმწიფოები მიდიან ფაშისტური დიქტატურის, მშრომელი მასების თვით ელემენტარულ უფლებათა შემდგომი დათრგუნვისა და წართმევის გზით, საბჭოთა სახელმწიფო მიდის მთელი ხალხისათვის ნამდვილი დემოკრატიის უფართოესი განვითარების გზით. ამაში მდგომარეობს ჩვენი პარტიის უდიდესი გამარჯვებანი. ამაში მდგომარეობს საკ. კ.პ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი პარტიის ბელადის — დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობის გამარჯვებანი.

სოციალიზმის გამარჯვებებმა, რაც ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგია, შესცვალეს ერონებათა მდგომარეობა საბჭოთა კავშირში. შესცვალეს მისი ნაციონალური რესპუბლიკების სახე.

o

ახალი კონსტიტუციის პროექტი, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ მოწონებული, ითვალისწინებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციას და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის უშუალოდ შესვლას სსრ კავშირში.

ეს წინადადება პირდაპირ გამომდინარეობს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის, კერძოდ, ნაციონალური პოლიტიკის წარმატებებისა და გამარჯვებებიდან, რომლებიც მიღწეულია რევოლუციის წლების მანძილზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

რა ვითარებაში იქმნებოდა ამიერ-კავკასიის ფედერაცია?

ა) მშრომელი მასებისა და წითელი არმიის შეერთებული ძალღონით 1920-21 წლებში აზერბეიჯანსა, საქართველოსა და სომხეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება;

ბ) ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა მემკვიდრეობად მიიღეს ჩამორჩენილი მეურნეობა, საბოლოოდ დანგრეული მენშევიკთა, მუსავატელთა და დაშნაკთა ბატონობით;

გ) ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის იმ სისხლისმღვრელ შეტაკებათა შედეგები, რომლებიც მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა იმპერიალისტ ინტერვენტთა პირდაპირი დირექტივით მოაწყეს, ჯერ კიდევ არ იყო ლიკვიდირებული;

დ) მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და აღვივებდნენ ნაციონალურ შუღლს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ასეთი მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების შექმნისა და განმტკიცების პირველ პერიოდში დაჟინებით მოითხოვდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შეერთებულ საქმიანობას სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაციისა და მეურნეობის აღმავლობისათვის, ისეთი სპეციალური ორგანოს შექმნას „რომელიც შესძლებდა ერონებათა შორის ურთიერთობის რეგულირებას" (სტალინი), მოითხოვდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთო ღონისძიებებს იმისათვის, რომ საბოლოოდ გაენადგურებინათ მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა კონტრრევოლუციური პარტიები.

ლენინისა და სტალინის საერთო წინადადებით, 1921 წლის 29 ნოემბერს რ.კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის გადაწყვეტილება, რომელშიაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია სცნო პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო განხორციელებული, და წინადადება მისცა საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ცხოვრებაში გაეტარებინათ ეს გადაწყვეტილება.

ასრულებდნენ რა ლენინ-სტალინის ამ პირდაპირ მითითებას და რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ამხ. ს. ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით, შექმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

ა.-კ. ფედერაციის შექმნამ და განმტკიცებამ, როგორც ცნობილია, ნაციონალ-უკლონისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში განვლო.

ნაციონალ-უკლონისტებს არ ესმოდათ რევოლუციის განვითარების იმ პერიოდის მთელი თავისებურება და ილაშქრებდნენ ფედერაციის წინააღმდეგ.

მათ არ ესმოდათ, რომ ა.-კ. ფედერაციის შექმნისა და განმტკიცების საკითხი იმ პერიოდში წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხს.

ნაციონალ-უკლონისტები, რომლებსაც არ ესმოდათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ბრძოლის ეს პირველხარისხოვანი ამოცანა, ქართველ მენშევიკთა, სომეხ დაშნაკთა და აზერბეიჯანელ მუსავატელთა პოზიციებზე ეშვებოდნენ.

ქმნიდნენ და ამტკიცებდნენ რა ა.-კ. ფედერაციას, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა დიდი ბრძოლა ჩაატარეს ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ და გაანადგურეს ნაციონალ-უკლონისტური ოპოზიცია, რომლის ნაწილი, როგორც ცნობილია, შემდეგ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ბანაკში გადაბარგდა.

ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა მემარჯვენე-ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური და კულაკური ელემენტების ზეგავლენას ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ცალკეულ ფენებზე.

ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა იმ შემტევი ქართული შოვინიზმის აშკარა გამოხატულებას, რომელიც ცდილობდა გადაექცია ამიერ-კავკასია ერონებათა შორის შეტაკებათა ქვეყნად, ცდილობდა აღედგინა მენშევიკური ბატონობის დროება, როცა შოვინისტური გააფთრებით შეპყრობილი ადამიანები ერთმანეთს სწვავდნენ და ხოცავდნენ.

ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს სურდათ გამოეყენებინათ საქართველოს გეოგრაფიული და ეკონომიური უპირატესობანი, რომლებიც იქიდან წარმოსდგება, რომ იგი ჰფლობს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო პუნქტებს, როგორიც არის ტფილისი და ბათომი. ამ საფუძველზე ისინი მოითხოვდნენ საქართველოს გამოსვლას ამიერ-კავკასიის ფედერაციიდან, უნდოდათ საბჭოთა აზერბეიჯანისა და სომხეთის ხარჯზე შეექმნათ პრივილეგიები საქართველოსათვის.

აგრარულ-გლეხურ საკითხში ნაციონალ-უკლონისტები გამოხატავდნენ ქართველი თავად-აზნაურებისა და კულაკების ინტერესებსა და მოთხოვნებს, ისინი იცავდნენ კულაკურ აგრარულ პოლიტიკას, იყვნენ რა ჩვენი სოფლის განვითარების კაპიტალისტური გზების მღაღადებელნი და დამცველნი.

ნაციონალ-უკლონიზმის საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ თავისი გამარჯვების შემთხვევაში იგი გაამტკიცებდა ბატონყმობის ნაშთებს სოფლად, განამტკიცებდა კულაკობის პოზიციებს, გადააქცევდა საქართველოს და ამიერ-კავკასიას ერთაშორის შუღლა-შემოხლისა და სისხლისმღვრელ შეტაკებათა ასპარეზად, ძირს გამოუთხრიდა საბჭოთა რესპუბლიკების მთლიან ინტერნაციონალურ ფრონტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხელფეხს გაუხსნიდა მენშევიკთა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა რეაქციულ ძალებს და ამით გზას გაუკაფავდა იმპერიალისტურ ინტერვენციას და კაპიტალიზმის რესტავრაციას.

ამიტომ ნაციონალ-უკლონიზმთან ბრძოლა, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნისათვის ბრძოლა იმ პერიოდში მოასწავებდა ბრძოლას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ამიტომ იყო, რომ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ასე დაუნდობლად ანადგურებდნენ მაშინ ნაციონალ-უკლონიზმს.

o

მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნითა და განმტკიცებით შესძლეს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა სოციალისტური მშენებლობის იმ უდიდეს წარმატებათა მიღწევა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, რომლებიც დღეს გვაქვს და რომლებისთვისაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები პარტიამ და მთავრობამ ლენინის ორდენებით დააჯილდოვეს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები — „კიდევ უფრო გლეხური ქვეყნები, ვიდრე რუსეთი" (ლენინი), ახლა ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკებად იქცნენ. პირველი ხუთწლედის გეგმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში წარმატებით და ვადამდე შესრულდა. წარმატებით სრულდება მეორე ხუთწლედის გეგმა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა მძლავრი ინდუსტრია. გაიზარდა ნავთის მრეწველობა აზერბეიჯანში, გაიზარდნენ მარგანეცის, ქვანახშირის, სამთამადნო და მრეწველობის სხვა დარგები საქართველოში. სომხეთში აშენდა და შენდება ქიმიური და სპილენძის მრეწველობის მსხვილი საწარმოები.

მრეწველობისათვის შექმნილია მძლავრი ენერგეტიკული ბაზა. შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები.

მრეწველობის ხვედრითმა წონამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საერთო სახალხო მეურნეობაში უკვე 72 პროცენტს მიაღწია.

უდიდესი გამარჯვებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. გლეხურ მეურნეობათა დაახლოებით 80 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების საფუძველზე უკანასკნელ წლებში მიღწეულია კოლმეურნეობათა განმტკიცება და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების ზრდა. უდიდესი მუშაობა ჩატარდა სპეციალური და ტექნიკური კულტურების — ბამბის, ჩაის, ციტრუსების, ვენახის, თამბაქოს, ტუნგოს და სხვ. განვითარებისათვის. დიდი სამუშაოები შესრულდა და სრულდება ამოშრობისა და მორწყვის დარგში (კოლხიდა, მუღანი, ალაზანი, კირი და სხვ.).

სოფლის მეურნეობისათვის შექმნილია მძლავრი ტექნიკური ბაზა. შექმნილია სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობენ კომბაინები, ავტომობილები და ათი ათასობით სხვადასხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გაიზარდა ამიერ-კავკასიის ხალხთა კულტურა. სავსებით ისპობა წერა-კითხვის უცოდინარობა, შეიქმნა უმაღლეს სასწავლებელთა ქსელი, სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტთა ქსელი, ვითარდება ლიტერატურა და ხელოვნება.

შექმნეს და განამტკიცეს რა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბოლშევიკებმა და მშრომელებმა ბოლომდე აღმოფხვრეს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ნაციონალური შუღლის გამოვლინებანი და დაამყარეს მათი ურყევი მეგობრობა.

ამხ. მოლოტოვმა 1935 წლის დეკემბერში, საბჭოთა სომხეთის მშრომელთა დელეგაციის მიღების დროს, თავის გამოსვლაში შემდეგი სთქვა ამიერ-კავკასიის ხალხთა მეგობრობის შესახებ:

„ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მრავალეროვან ამიერ-კავკასიაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლა სხვადასხვა ერონების მშრომელთა შორის, ბრძოლა, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდნენ კაპიტალისტები და მეფის მსახურნი, რომ ახლა ეს ბრძოლა საბოლოოდ ლიკვიდირებულია და რომ ამ ბრძოლის ადგილზე იფურჩქნება ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთა შეთანხმებული ცხოვრება".

დიდი და ურყევია საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის ხალხების მშრომელთა ურთიერთმეგობრობა, დიდი და მტკიცეა ამიერ-კავკასიის ხალხების მშრომელთა მეგობრობა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მშრომელებთან.

შექმნეს და განამტკიცეს რა ა.-კ. ფედერაცია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბოლშევიკებმა და მშრომელებმა შეერთებული ძალღონით საბოლოოდ გაანადგურეს მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა კონტრრევოლუციური პარტიები და მოახდინეს უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის — კულაკობის ლიკვიდაცია.

ჩვენი პარტიის გამარჯვებამ სოციალისტურ მშენებლობაში, სოფლად საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებამ ძირფესვიანად მოსპო მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა კონტრრევოლუციური საქმიანობის ნიადაგი.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებებისათვის, პარტიის გენერალური ხაზისა და მისი ნაციონალური პოლიტიკისათვის ბრძოლაში წარმოიშვნენ და გამოიზარდნენ მუშაკთა კადრები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. გაიზარდნენ პარტიულ-სამეურნეო, საბჭოთა ხელმძღვანელობის კადრები. გაიზარდნენ სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციისა და ჩვენი სამშობლოს შესანიშნავ ადამიანთა-სტახანოველთა კადრები, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის უაღრესად სხვადასხვა უბნებზე სანიმუშო მუშაობის მაგალითებს იძლევიან. ამ კადრების ზრდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ჩვენი პარტიის ერთერთ ყველაზე დიდ წარმატებას წარმოადგენს.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების მიერ მიღწეულმა ყველა ამ უდიდესმა წარმატებამ შექმნა პირობები ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისათვის. ამაში მდგომარეობს საბჭოთა სახელმწიფოს დიალექტიკური განვითარების პროცესის კანონზომიერება.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო — ეკონომიური ურთიერთობანი დღეს ვეღარ განისაზღვრებიან მარტო ფედერაციის შიგნით არსებულ ურთიერთობებით.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებს საქართველოს, სომხეთსა და აზერბეიჯანს, თავიანთი მზარდი მეურნეობის პირობების გამო, ახლა ფართო სამეურნეო კავშირი აქვთ მთელი საბჭოთა კავშირის მრავალ მხარესთან და რესპუბლიკასთან.

გაფართოვდა და გამტკიცდა საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის უშუალო კულტურული კავშირიც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან.

ამიერ - კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკათა ამ პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულების განვითარებამ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან და მხარეებთან სულ ახალი მდგომარეობა შექმნა თვითეული ამ რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირის სისტემაში.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებანი ნაციონალურ რესპუბლიკებში ამჟამად პარტიის წინაშე აყენებენ ახალ ამოცანებს ნაციონალური საკითხის დარგში. ნაციონალურ რესპუბლიკებში შექმნილია მრეწველობა, მასში გამოიზარდნენ მუშათა კადრები. რევოლუციამდე ამიერ - კავკასიის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში 67.200 კაცი იყო, ხოლო 1936 წლის 1 იანვრისათვის — 312.200 კაცი. ნაციონალურ რესპუბლიკათა გლეხობა დღეს საკოლმეურნეო წყობილებისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული კოლმეურნე გლეხობაა.

ამისდა მიხედვით — პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ შემდეგშიაც განვამტკიცოთ სწორი ნაციონალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირის მშრომელთა (მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას) შორის, რომლებიც გაერთიანებული არიან დიდ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებად და რომლებმაც უკვე მიაღწიეს არა მარტო უფლებრივ, არამედ ეკონომიურ თანასწორობასაც.

1931 წლის 31 ოქტომბერს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაუშვა მეტისმეტი ცენტრალიზაცია ამიერ - კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, რამაც მთელ რიგ დარგებში გამოიწვია რესპუბლიკური ორგანოების გაუპიროვნება.

ამავე გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ამიერ - კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს — უზრუნველყოთ ა.-კ. ფედერაციაში შემავალ ნაციონალურ რესპუბლიკათა ფართო თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლა.

ნაციონალურ რესპუბლიკათა თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის განვითარების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ამ მითითებათა შესრულებამ მოამზადა პირობები ამიერ - კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის საკითხის დასაყენებლად.

ამიერ - კავკასიის ფედერაციამ დიდი როლი ითამაშა ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებებისათვის. მან მთლიანად გადაჭრა მის წინაშე დასახული ყველა ამოცანა, და ამიტომ ა.-კ. ფედერაციის ლიკვიდაცია, რაც დასახულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში, წარმოადგენს სავსებით სწორსა და დროულ ნაბიჯს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი მშენებლობის გზაზე.

ზოგიერთი ყოფილი ნაციონალ-უკლონისტი, ერთდროს რომ ა.-კ ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ იბრძოდა ახლა, ალბათ, ჩუმ-ჩუმად დაიწყებს ლაყბობას, თითქოს ისინი — ნაციონალ - უკლონისტები მართალი იყვნენ, თითქოს წინადადება ა.-კ. ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ, საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ მოწონებული, მათი წინანდელი სიმართლის დადასტურებას წარმოადგენდეს.

განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე რომ სრული სისულელე და ანტიპარტიულია ყოფილ ნაციონალ-უკლონისტთა ასეთი ლაყბობა?

როგორც ჩანს, ნაციონალურ რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გამარჯვებათა მთელმა 15 წელმა ამ ხალხს გვერდით ჩაუარა, და მათ დღემდე არ ესმით არც თავიანთი წინანდელი შეცდომები, არც ის, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში დღეს. ისინი სცდებოდნენ მაშინ, სცდებიან ახლაც.

ეჭვს გარეშეა, დიდმპყრობელური ელემენტებიც შეეცდებიან გამოვიდნენ ხოლმე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის შესახებ მიღებულ ამ მსოფლიო - ისტორიულ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ.

ეჭვს გარეშეა, საბჭოთა ხელისუფლების ყველა დაუძინებელი მტერი, პირველ რიგში ტროცკისტ - ზინოვიეველთა განადგურებული ჯგუფების ნაშთებიდან, შეეცდებიან გამოიყენონ ახალი კონსტიტუცია თავიანთი კონტრრევოლუციური მიზნებისათვის.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანა საბოლოოდ მოვსპოთ, ძირის პირიდან აღვგავოთ სოციალისტური მშენებლობის მტრები, რა ნიღაბსაც უნდა ეფარებოდნენ ისინი, და ამ საფუძველზე მივაღწიოთ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო მეტ განმტკიცებას.

საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკები და ყველა მშრომელნი უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს სტალინური კონსტიტუციის შესახებ.

საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკები, რომლებმაც უდიდესი მუშაობა გასწიეს ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და ამ რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის გაშლისათვის, რომლებმაც ჩაატარეს ბრძოლა კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ პარტიებთან, ტროცკიზმთან და ნაციონალ-უკლონიზმთან და დიდ წარმატებებს მიაღწიეს მასების ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში, ამიერ - კავკასიის ხალხებს შორის ურყევი მეგობრობის განმტკიცების საქმეში, — შემდეგშიაც შეურიგებლად და განუხრელად იბრძოლებენ ლენინ-სტალინის დიდი საქმისათვის.

„პრავდა" 12/VI.



ტფილისის ორგანიზაციის პარტაქტივის კრება

გუშინ სახელმწიფო ოპერის შენობაში შეიკრიბა ტფილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივი საკ. კ. პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგთა განსახილველად. დაესწრო 2000 კაცზე მეტი.

კრება გახსნა საქართველოს კ. პ (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გრ. არუთინოვმა, რომელმაც მოხსენებისათვის სიტყვა მისცა ამხ. ლ. ბერიას.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მებრძოლი ხელმძღვანელის გამოჩენას ტრიბუნაზე აქტივი მქუხარე ოვაციით ხვდება.

ღრმა შინაარსიან მოხსენებაში ამხ. ლ. ბერიამ კრებას გააცნო საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი ახალ კონსტიტუციაზე, მოსავლის აღებასა და სასოფლო-სამეურნეო დამზადებებზე, პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის მსვლელობაზე. აქტივმა განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა მოხსენება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ, რომელიც შემუშავებულია ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, იმ დიდი როლის შესახებ, რომელიც შეასრულა ამიერ-კავკასიის ფედერაციამ საქართველოსა, აზერბეიჯანსა და სომხეთში სოციალისტური მშენებლობისგამარჯვებებისათვის ბრძოლაში, მოძმე ხალხთა შორის ნაციონალური მშვიდობიანობისა და მეგობრობის განმტკიცებაში.

აქტივის კრება მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მხურვალედ მიესალმა ახალი კონსტიტუციის შემომქმედს, სოციალიზმის გამარჯვებათა გენიოსურ ორგანიზატორს, საყვარელ ბელადსა და ბრძენ მასწავლებელს-ამხანაგ სტალინს.

ამხ. ბერიას მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში გამოვიდნენ ამხ. ნიორაძე, კოპლატაძე, ქორქოლაძე, მახარაძე, ბუდუ მდივანი, შარია, თ. ქლენტი, იგითხანოვი, ტოროშელიძე და ხალიაპინი.

კრებამ მქუხარე ტაშის გრიალში მიიღო მისასალმებელი დეპეშები აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის ამხ. მ. დ. ბაგიროვისა და სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის—ამხ. ა. ხანჯიანის სახელზე.

დღეს საღამოს აქტივის სხდომის გაგრძელებაა.

ჩენ ძი-ტანის ბრძანება გუანდუნის ჯარებს

შანხაი, 13 ივნისი. გაზეთების ცნობით გუანდუნის ჯარების სარდალმა ჩენ ძი-ტანმა დაიწყო მოლაპარაკება ნანკინთან და უბრძანა თავისი არმიის ნაწილებს, რომლებიც ხუნანის პროვინციაში შევიდნენ, დაიხიონ გუანდუნის პროვინციის საზღვრებისაკენ, გუანდუნის მეთაურობამ არმიამ ამის გამო შეაჩერა წინსვლა ხუნანში. „შანხაი ივნინგ პოსტის" ცნობებით, ჩენ ძი-ტანმა ვითომც დეპეშა გაუგზავნა პრეზიდენტ ლინ სენს იმის შესახებ, რომ მისი ჯარების წინსვლა მხოლოდ დემონსტრაციას წარმოადგენდა იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ და რომ მან უბრძანა შეაჩერონ ეს წინსვლა სამოქალაქო ომის დაწყების შიშით. შემდეგ დეპეშაში ნათქვამია, რომ ჩენ ძი-ტანი გზავნის თავის წარმომადგენლებს ნანკინში ფინანსური პრობლემების განსახილველად. ეს პრობლემები წარმოადგენენ „ძირითად ფაქტორს რამაც პოლიტიკური კრიზისი შექმნა ნანკინისა და კანტონის ურთიერთობაში" (ატს).

◇ ◇ ◇

კონფლიქტი ნანკინსა და სამხრეთ-დასავლეთ დაჯგუფებათა შორის

ტოკიო, 13 ივნისი. იაპონიის გაზეთების კანტონელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ სამხრეთ-დასავლეთის დაჯგუფების ლიდერებმა 11 ივნისს კატეგორიულად უარჰყვეს ნანკინის წინადადება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ. დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, ნანკინის მთავრობის სამხედრო მინისტრი ხო-ინცინი ჩან კაი-შის ბრძანებით 13 ივნისს გაფრინდა ქ. ჩანშაში, რომ უხელმძღვანელოს სამხრეთ-დასავლეთი დაჯგუფების ჯარების საწინააღმდეგო ოპერაციებს (ატს).

◇ ◇ ◇

ანტიიაპონური დემონსტრაციები

შანხაი, 13 ივნისი. რეიტერის სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტის ცნობით, 13 ივნისს კანტონში გაიმართა გრანდიოზული ანტიიაპონური დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობდა 100 ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე, სტუდენტი, გლეხი, აგრეთვე რამდენიმე ათასი გლეხი მახლობელი რაიონებიდან. ყველა უნივერსიტეტი და სკოლა დაიხურა. მუშაობა შესწყვიტეს ქარხნებმა, ფაბრიკებმა, ბანკებმა, კანტორებმა და სხვა საწარმოებმა.

დემონსტრაციის წინა დღეს ყველგან გააკრეს პლაკატები, რომლებიც მოუწოდებენ, რათა დაუყოვნებლივ გამოეცხადოთ ომი იაპონიას და მანჯურია დაუბრუნდეს ჩინეთს (ატს).

შანხაი, 13 ივნისი. „შანხაი ივნინგ პოსტის" ცნობით, სამხრეთ-დასავლეთის მიერ მოწყობილი ანტიიაპონური ექსპედიციის შედეგად გუანსისა და გუანდუნის პროვინციის ახალგაზრდობამ გრანდიოზული დემონსტრაციები გამართა. გუანსის პროვინციის ერთ-ერთი ქალაქის სტუდენტები მიდიოდნენ ეროვნული დროშებით და ლოზუნგით: „შევეურთდეთ ანტი იაპონურ ლაშქრობას". (ატს).

◇ ◇ ◇

ბეიპინის სტუდენტთა მანიფესტი

ბეიპინი, 13 ივნისი. ნაციონალური განთავისუფლების ბეიპინის სტუდენტთა კავშირმა ახალი ანტიიაპონური მანიფესტი გამოაქვეყნა. ამ მანიფესტში სტუდენტები აცხადებენ:

„ჩვენ ვემხრობით ნაციონალური ხსნის საბრძოლო ფრონტს". მანიფესტი თავდება მოწოდებით მოეწყოს ბრძოლის ერთიანი ფრონტი და მობილიზებულ იქნან მთელი სამხედრო, საზღვაო და საჰაერო ძალები იაპონიისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად.

იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ გრძელდება იმ სტუდენტთა ფარული დაპატიმრება, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ანტი-იაპონურ მოძრაობაში (ატს).

◇

გუანდუნის ჯარების შეკრება

შანხაი, 13 ივნისი. გაზეთი „სინვენბაო" კონკონგიდან იუწყება: გენერალ ჩენ ძი ტანმა გამოაცხადა, რომ ორი კვირის ვადაში შეიკრიბის 40 ათასი ჯარის კაცი. (ატს).

ბლიუმის განცხადება სენატის სხდომაზე

პარიზი, 13 ივნისი. გუშინ ბლიუმმა სენატში შეიტანა იმ სოციალურ კანონპროექტთა პირველი სერია, რომლებსაც უკვე ხმა მისცა პალატამ, და მოუწოდა სენატს სწრაფი მოქმედებისაკენ. სენატმა გადაწყვიტა შეიკრიბოს 16 ივნისს.

სენატის სხდომაზე ბლიუმმა განაცხადა: მთავრობამ მტკიცედ გადაწყვიტა უზრუნველყოს წესრიგი ქვეყანაში. „თუ ეს საჭირო გახდება, — დასძინა ბლიუმმა,—მთავრობა მკაცრ ზომებს მიიღებს იმ გარეშე ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ შეიჭრან მუშათა მოძრაობაში". (ატს).

პალატამ მიიღო კანონი 40 საათიანი სამუშაო კვირის შემოღების შესახებ

პარიზი, 13 ივნისი. გუშინ პალატამ 385 ხმის უმრავლესობით 175 ხმის წინააღმდეგ მიიღო კანონი 40 საათიანი სამუშაო კვირის შემოღების შესახებ. პალატის შემდეგი სხდომა გაიმართება 16 ივნისს (ატს).

◇

საფრანგეთის ფაშისტების გამოლაშქრება

პარიზი, 13 ივნისი. გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობები, რომ პარიზის მე-16 რაიონში ფაშისტები შეეცადნენ გამოსულიყვნენ „დამხმარე პოლიციის" როლში. მათ წინადადება მისცეს დაშლილიყვნენ. ზოგიერთმა უარი განაცხადა და ისინი დააპატიმრეს. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა სალანგრომ განაცხადა: „ყოველგვარად (დაიცავს რა დემოკრატიის პირობებში საქალაქო მშვიდობიანობას), პოლიცია არ გამოიჩენს სისუსტეს და შეასრულებს თავის მისიას".

სალანგრომ პოლიციის პრეფექტს მისცა ახალი ინსტრუქციები, რომელთა ძალით გუშინ არ უშვებდნენ, რომ თავი მოეყარათ ქუჩაში და მოახდინეს მთელი რიგი დაპატიმრებანი (ატს).

◇

ვან-ზეელანდი დასთანხმდა შეადგინოს მთავრობა

პარიზი, 12 ივნისი. ჰავასის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება, რომ სოციალისტებთან მოლაპარაკების შემდეგ ვან-ზეელანდი დასთანხმდა შეადგინოს მთავრობა. (ატს).

◇

შედეგები ინგლის-თურქეთის მოლაპარაკებისა მონტრეში კონფერენციის მოწვევის შესახებ

ანკარა, 13 ივნისი. უკანასკნელი ცნობებით, ლონდონსა და ანკარას შორის მოლაპარაკების შედეგად, ინგლისის მთავრობამ უარი განაცხადა თავის წინადადებაზე, რომ გადადებულიყო სრუტეთა რეჟიმის გადასასინჯავად კონფერენციის მოწვევა მონტრეში (ატს).

ა. მ. გორკის ჯანმრთელობის მდგომარეობის ბიულეტენი

13 ივნისს დილიდან დაეტყო გულის მოქმედების დაცემის სიმპტომები. მაჯისცემა აღწევდა 160-მდე და ძლიერ არასწორი იყო, ტემპერატურა 37,0. დღის 3 საათის შემდეგ გულის მოქმედებამ გამოსწორება იწყო და საღამოსთვის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაჯისცემა 108-110. სწორი, ტემპერატურა 37,5.

რსფსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი
გ. კამინსკი
კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს უფროსი **ი. ხოდოროვსკი.**
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ.
გ. ლანგი
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ.
დ. პლეტნიოვი.
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ.
მ. კონჩალოვსკი.
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ლ. ლევინი.**

1936 წ. 13 ივნისი, 23 საათი.

o

ბ. გ. ბელინსკის ხსოვნის უკვდავსაყოფად

მოსკოვი, 14 ივნისი. რუსეთის უდიდესი კრიტიკოსის, განმანათლებელ-რევოლუციონერის, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლის ბ. გ. ბელინსკის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით — საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა აგებულ იქნას მოსკოვსა და ლენინგრადში ბ. გ. ბელინსკის ძეგლი.

მოსკოვის და ლენინგრადის საბჭოებს წინადადება მიეცათ ამ ძეგლების აგება გაითვალისწინონ ქალაქების რეკონსტრუქციის გეგმაში. (ატს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

სტალინური კონსტიტუცია

— არის კონსტიტუცია! ახალი კონსტიტუცია!... კარებში შემოსვლისთანავე ახარა ერთ-ერთი საამქროს აგიტატორმა აბრეშუმის ფაბრიკის პარტკომის მდივანს ამხ. დ. იგითხანოვს და გაზეთი მაგიდაზე გადაუშალა.

— აჰა, ნახე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძირითადი კანონი... ეს არის სოციალისტური მშენებლობის საბოლოო გამარჯვების კანონი... საამური ცხოვრების კანონი, — არ ცხრებოდა იგი...

— უკვე წავიკითხეთ. გუშინ მთელი ტფილისის მშრომელები მაგას კითხულობდნენ. შენ კი დღეს გაიგე!? — ჩამოართვა სიტყვა პარტკომის მდივანმა.

...„მახარობელი" დამშვიდდა. მან მხოლოდ განაცხადა, ძალიან მომეწონა კონსტიტუცია და იმიტომ ვარ აღფრთოვანებულიო. შემდეგ უფრო სერიოზული ტონით დასძინა: „მაგრამ აქ მთელი რიგი საკითხები ჩემთვის გასარკვევია. ვინმე უნდა დამეხმაროს".

— ახლავე გავარკვევთ ყველაფერს. შენ ხომ ჩვენი საამქროს აგიტატორი ხარ! ჰო და, ახლა პარტკაბინეტში აგიტატორები იკრიბებიან. შენც მიდი, ჩვენ კონსტიტუციის წავიკითხავთ, საინსტრუქციო თათბირს გავმართავთ და გაურკვეველ საკითხებს ყველას გარკვეულს გავხდით, — დაამშვიდა პარტკომის მდივანმა.

მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ აბრეშუმის ფაბრიკის პარტკაბინეტში თავი მოიყარეს საამქროს აგიტატორებმა. პარტკომის მდივანმა აგიტატორებთან წაიკითხა კონსტიტუციის პროექტის ტექსტი. გზადაგზა კითხვის დროს ბუნდოვანი ადგილები მუხლობრივ გაარჩია და განმარტა. შემდეგ მიუთითა აგიტატორებს თუ როგორ უნდა ჩაატარონ საამქროებში და ცალკე ჯგუფებში კონსტიტუციის პროექტის ხმამაღლა კითხვა.

აგიტატორები გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს. 13 ივნისს აბრეშუმის ფაბრიკის ყველა საამქროში, ყველა კომპლექტში და სასადილოში, დასვენების დროსა და მუშაობის დამთავრების შემდეგაც დიდი ყურადღებით და ინტერესით მიმდინარეობდა ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა. გზადაგზა მუშები აჩერებდნენ აგიტატორს და აძლევდნენ შეკითხვებს.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდნენ მუშები კონსტიტუციის X კარის მიმართ, სადაც ლაპარაკია მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებზე, და XI კარის მიმართ, რომელიც საარჩევნო სისტემას ეხება.

მუშები, რომლებიც გაეცნენ კონსტიტუციის პროექტს, აღფრთოვანებულნი იწონებენ მას. საქსოვ საამქროს სტახანოველი მუშები ამხ. ქ. ქვათაძე, ნუნუ მაჭავარიანი, ნინა ვარდიძე ხმამაღლა გამოსთქვამდნენ თავიანთ სიხარულს ახალი კონსტიტუციის გამო.

ნუნუ მაჭავარიანმა აგიტატორს სთხოვა, როგორმე კიდევ წავიკითხოთ კონსტიტუციის პროექტის ის ადგილი, სადაც ქალების შესახებ სწერიაო. რასაკვირველია, ეს სურვილი შეუსრულეს. ასევე დიდი ინტერესით და აქტივობით ჩაიარა კონსტიტუციის კითხვამ სამღებრო სააპრეტურო საამქროში. ჩვენი კონსტიტუცია, გამომუშავებული ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ნამდვილი დემოკრატიული კონსტიტუციაა მთელ მსოფლიოში, — აცხადებენ აბრეშუმის ფაბრიკის მუშები.

* * *

ასევე დიდი ინტერესით კითხულობენ და იხილავენ კონსტიტუციის პროექტს სხვა საწარმოებშიაც. მაგალითად, სპილენძის ქარხნის აგიტატორებმა გუშინ დაიწყეს პროექტის კითხვა. მუშები მათ მთელი გულისყურით უსმენდნენ და როდესაც ძირითადად გაეცნენ პროექტის მთელ რიგ მუხლებს, თავიანთი აღფრთოვანება გამოხატეს იმით, რომ ახალ კონსტიტუციას დაუკავშირეს ახალი ვალდებულებანი და გეგმების სტახანოვურად შესრულებისათვის ბრძოლის გაშლა.

ტყავის დამმუშავებელ ქარხანაში

დილით, მუშაობის დაწყებამდე, აგიტატორებმა და ჯგუფორგებმა თავი მოიყარეს საქარხნო პარტკომის მდივანთან. კონსტიტუციის პროექტი ყოველ მათგანს ჰქონდა წაკითხული. გაიმართა სახელდახელო თათბირი, რომელზედაც გადაწყდა, რომ დილის შესვენებაზე ჯგუფებში დაეწყოთ კონსტიტუციის პროექტის კოლექტიურად წაკითხვა.

— არ აჩქარდეთ, — გადაწყვიტეს თათბირზე, — დაწვრილებით და საფუძვლიანად გავაცნოთ მუშებს ახალი კონსტიტუციის შინაარსი და მივცეთ მათ დრო, რომ მოიფიქრონ წინადადებები კონსტიტუციის პროექტში ცვლილებების შესატანად.

დილის შესვენებაზე, გამოაცხადეს თუ არა, კონსტიტუციის პროექტის კითხვას ვიწყებთო, მუშებმა უკლებლივ მოიყარეს თავი დანიშნულ ადგილებზე. დასვენების დამთავრებისათვის ყველგან ვერ მოასწრეს პროექტის ბოლომდე წაკითხვა და გადაწყვიტეს კითხვა შემდეგში გააგრძელონ.

მთელ ქარხანაში მუშებს შორის შეგროვილია 40-მდე სხვადასხვა კითხვა.

ფეხსაცმელის პირველი ფაბრიკა

დილის ცვლაში ახალი კონსტიტუციის კოლექტიური წაკითხვა ყველა საამქროში დაიწყეს. მუშები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ კონსტიტუციის შინაარსთან გაცნობას და განაცხადეს, რომ თავის მხრივ ისინი შეეცდებიან კვლავ გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, იმუშაონ სტახანოვურად და ხელი შეუწყონ სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომ გაძლიერებას.

მუშებმა ამასთანავე შემოიტანეს წინადადება, რომ საფაბრიკო კომიტეტმა ითავოს და მოაწყოს კონსტიტუციის პროექტის განხილვა მუშათა ოჯახების წევრთა საერთო კრებებზეც.

კონსტიტუციის პროექტის წაკითხვისას მუშების მიერ შემოტანილი კითხვები შეგროვილია და მათზე ახსნა-განმარტების მისაცემად გამოყოფილია მომზადებული პირი.

ტფილისის ტრამვაის სახელოსნოების სადურგლო საამქროს პროპაგანდისტი ამხ. მაცაბერიძე, უკითხავს მუშებს ახალი კონსტიტუციის პროექტს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ეცნობიან პროექტს

ორჯონიკიძის სახ. მექანიკური ქარხნის მუშებმა დაიწყეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, უკვე დეტალურად და საფუძვლიანად დამუშავებულია პირველი და მეორე კარი.

მუშები დიდი ინტერესით და აღფრთოვანებით არჩევენ კონსტიტუციის პროექტის თვითეულ მუხლს. ეს პროექტი მათი ახალი და ბედნიერი ცხოვრების კონსტიტუციაა. მასში ასახულია მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია განვლილი გმირული ბრძოლების შედეგად, ის განმსჭვალულია ადამიანის ლენინურ-სტალინური დაფასებისა და სიყვარულის სულით. ეს კონსტიტუცია ლაპარაკობს ახალი, სოციალისტური საზოგადოების ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებზე, იმაზე, თუ რა შეუძლია მოსთხოვოს ადამიანმა საზოგადოებას და რა უნდა მისცეს მას საზოგადოებამ.

მუშები იძლევიან შეკითხვებს ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკათა უშუალო შესვლის შესახებ სსრ კავშირში, თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის სსრ კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლებაზე, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, როგორც ერთადერთ საკანონმდებლო ორგანოს შესახებ და სხვ.

კონსტიტუციის პროექტის კითხვა და დამუშავება გრძელდება, ამის შემდეგ მუშები მას მსჯელობის საგნად გახდიან.

ტფილისის სადგური

დღის პირველ საათზე მოწვეულ იქნა ტფილისის სადგურის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე კონსტიტუციის პროექტი გულდასმით წაიკითხა გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. გალ. ჯინჭარაძემ.

სიტყვით გამოვიდა ლიანდაგის მორიგე ამხ. ალ. ვაშაკიძე, რომელიც შეჩერდა მოქალაქეთა უფლებებზე და სთქვა: ამ მუხლმა აღტაცებაში მომიყვანა და გამამხნევა იმისათვის, რომ უფრო ნაყოფიერად ვიმუშაო.

საერთო კრების შემდეგ პროექტის ჯგუფური კითხვა-განხილვა დაიწყო საამქროებსა და ბრიგადებში.

ალექსი სტახანოვი ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ

კადიევკა, 13 ივნისი. საერთო-სახალხო სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი, ორდენოსანი ალექსი სტახანოვი აღფრთოვანებულია ახალი კონსტიტუციის პროექტით.

ახალი კონსტიტუცია ახლობელი და მშობლიური იქნება ყველა მშრომელისათვის, რადგან ის მშრომელთა ინტერესებს გამოხატავს. პარტიის და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ მოსპობილია მექარხნეთა კლასი, რომლებიც არ მუშაობდნენ, მაგრამ კარგს ცხოვრობდნენ სხვების ექსპლოატაციით. ახლა ასე იქნება: თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი შრომის მიხედვით. სტახანოვური მოძრაობა ბევრად დამოკიდებულია ამ პრინციპზე. ეს ჩემი გამოცდილებიდან ვიცი. მე ვმუშაობ პარტიისათვის, სამშობლოსათვის. ჩვენი სამშობლოს თვითეულ მოქალაქეს აქვს შრომის, დასვენების, განათლების უფლება— ნათქვამია კონსტიტუციაში. თვითეულს შეუძლია აირჩიოს და არჩეულ იქნას უზენაეს საბჭოთა ორგანოებში, მიუხედავად იმისა, მუშაა ის თუ კოლმეურნე, ინჟინერია თუ მოსამსახურე, მიუხედავად იმისა, მამაკაცია თუ დედაკაცი, მიუხედავად ეროვნებისა.

ასეთი ნამდვილად ხალხური კონსტიტუცია შეიძლება დაიბადოს ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ხალხთა ბელადი ამხანაგი სტალინი. და გასაკვირი არ არის, რომ ამ კონსტიტუციისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის თვითეული მოქალაქე მზად არის გაიღოს ყველაფერი, შესწიროს თავისი სიცოცხლე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ჩვენ ვამაყობთ ამ კონსტიტუციით მთელი მსოფლიოს მუშების და მშრომელების წინაშე და ვეუბნებით მათ: „აი გზა ყველა ჩაგრულისა და ექსპლოატირებულისა. მოიპოვეთ თქვენც ასეთი კონსტიტუციის უფლება". ჩვენ ვალდებული ვართ ახლა უფრო უკეთ ვიმუშაოთ. ასეთი კონსტიტუციით არ შეიძლება ჩამოვრჩეთ ნახშირის ამოღებაში, ასეთი კონსტიტუციით დონბასის ხუთწლიანი გეგმა 4 წელში უნდა შევასრულოთ. [illegible] მთელი ქვეყნის გასაკვირად.

— გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს. გაუმარჯოს მას მესაჭეს, დიდ, საყვარელ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. (ატს).

მშრომლები ესალმებიან

ვინიცა, 13 ივნისი. აღფრთოვანებით ესალმებიან საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტს მესაზღვრე რაიონების კოლმეურნეები, მინდვრებზე, რგოლებში, ბრიგადებში გაცხოველებით იხილავენ სტალინური ეპოქის ამ შესანიშნავ დოკუმენტს. მოგილევსკის რაიონის კოლმეურნეებმა კრებებზე კონსტიტუციის პროექტის განხილვისას თავისი უსაზღვრო სიყვარულის და მადლობის პირველი სიტყვა უძღვნეს შეძლებული ცხოვრების შემომქმედს — ამხანაგ სტალინს.

თავისი უსაზღვრო სიხარული გაუზიარა კოლმეურნეებს ყოფილმა მოჯამაგირე ქალმა, ამჟამად ტოლჩინსკის რაიონის უმანოვსკის სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის ცაკის წევრმა ამხ. ნაგორიანსკაიამ. თავისი სოფლის მაგალითით მან დაამტკიცა, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი — ჩვენი ძლიერების შედეგია, აყვავებული ცხოვრების მაჩვენებელია.

ხარკოვი, 13 ივნისი. ხარკოვის ოლქის ასეული კოლმეურნეები ისმენდნენ გუშინ რადიოთი სტალინური კონსტიტუციის პროექტს. ლოზოვსკაიას რადიოაუდიტორიაში თავი მოიყარა 40-მდე კომბაინერმა და მათმა თანაშემწეებმა.

პირველად სიტყვა წარმოსთქვა კომბაინერმა ამხ. სლიპაჩენკომ, რომელმაც იკისრა აიღოს თავისი კომბაინით მოსავალი 700 ჰექტარზე.

— ძალიან კარგია, — სთქვა მან, — რომ ფარული კენჭისყრა გვექნება. ეს აიძულებს ჩვენს დეპუტატებს უკეთესად იმუშაონ. მე არჩევნების დროს ხმას მივცემ მხოლოდ იმათ, ვინც მართლაც უზრუნველჰყოფს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა ინტერესებს.

ყოფილი კულაკის შვილმა ამხ. სულიმამ, რომელიც ყოველთვის ერთგულად მუშაობდა სამანქანო-სატრაქტორო სადგურში, განაცხადა:

— ახალი კონსტიტუციის პროექტში გათვალისწინებულია, რომ ყველა მოქალაქეს, შეშლილთა და სასამართლოს წესით ხმაჩამორთმეულთა გარდა, უფლება ექნება აირჩიოს და არჩეულ იქნას. მე ძალიან მოხარული ვარ და მთელ ჩემს ძალღონეს, მთელ ჩემს სიცოცხლეს სოციალისტურ საზოგადოებას მოვახმარ.

„ისტორიული მნიშვნელობის პირველხარისხოვანი მოვლენა"

უცხოეთის პრესა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ

საფრანგეთი

პარიზი, 13 ივნისი. ჰავასის სააგენტო მთლიანად გადმოსცემს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის ტექსტს. გაზეთებს დაწვრილებით მოჰყავთ ძირითადი დებულებანი. განსაკუთრებით ხაზგასმულია ის, რომ საბჭოთა თვითეულ მოქალაქეს ენიჭება შრომის, დასვენების, უფასო განათლების მიღების უფლება, სინიდისის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების თავისუფლება, რომ შემოღებულია საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრით. ეს მომენტები აღნიშნულია აგრეთვე ცნობებისა და კომენტარიების სათაურებში.

„რეპუბლიკში" ცნობას ასეთი სათაური აქვს: „საბჭოთა კავშირს აქვს ახალი კონსტიტუცია. მას ახასიათებს ფედერატიული სახელმწიფოებრივი ფორმა და დემოკრატიული რეჟიმი".

„ევრი" სწერს, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი, „როგორც ყველაფრიდან სჩანს, შეესაბამება სსრ კავშირის ხალხთა ღრმა მისწრაფებებს. ახალი კონსტიტუცია განამტკიცებს სტალინის ავტორიტეტს, რომელიც ერთხელ კიდევ გვიჩვენებს თავისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის უნარიანობას".

„ლუმანიტე" იწყებს სტატიების სერიას ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ. გაზეთი ასეთი სათაურით ათავსებს ამ სტატიებს: „ძლევამოსილი სოციალიზმი" და ქვესათაურში სწერს: „მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია". კონსტიტუციის გამოცემის შესავალ შენიშვნებში გაზეთი სწერს: „ეს პროექტი საბჭოთა კავშირს ყველაზე სრული დემოკრატიის ქვეყნად ხდის".

ახასიათებს რა პროექტის უმნიშვნელოვანეს დებულებებს, „ლუმანიტე" განაგრძობს: „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუცია არ ანიჭებს ომის გამოცხადების უფლებას არც უზენაეს საბჭოს, არც პრეზიდიუმს, არც საერთოდ ვინმე ქვეყანაში. უზენაეს საბჭოს, ხოლო მის სესიებს შორის პრეზიდიუმს, ენიჭება მხოლოდ უფლება გამოაცხადოს ომის მდგომარეობა იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირს თავს დაესხმიან. ამგვარად, ახალი კონსტიტუცია ხდება საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვის ერთადერთი თავისებური დოკუმენტი" (ატს).

პარიზი, 13 ივნისი. ბელგიელი სოციალისტების ცენტრალურმა ორგანომ „პეპლმა" პირველ გვერდზე მოათავსა დიდი ცნობა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ შემდეგი სათაურით: „საბჭოები აძლევენ სსრ კავშირის მოსახლეობას კონსტიტუციას, რომელიც უზრუნველჰყოფს ყველა დემოკრატიულ თავისუფლებას". გაზეთის გვერდის შუაში მოთავსებულია ამხანაგი სტალინის პორტრეტი. (ატს)

ჩეხოსლოვაკია

პრაგა. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი აქ იწვევს უდიდეს ინტერესს, როგორც მხოლოდ ზოგიერთი უდიდესი საერთაშორისო მოვლენა იწვევს ხოლმე.

ოფიციოზურ „პრაგერ პრესსე" სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში უმნიშვნელოვანეს მომენტად მიაჩნია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს შექმნა და ახალი საარჩევნო უფლების შემოღება. სხვა გაზეთები, როგორც „ლიდოვე ნოვინი", „პრავო ლიდუ", „პრაგერ ტაგებლატი" აგრეთვე ხაზს უსვამენ სამოქალაქო უფლებათა გაფართოებას სსრ კავშირში და აღნიშნავენ, რომ ამით საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმული იქნებიან მოსახლეობის ახალი ფენები. ჩეხელ ლეგიონერთა ორგანო „ნაროდნი ოსვობოზენი" საბჭოთა ახალი კონსტიტუციის პროექტის დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ აცხადებს: „ეს პროექტი ისე უნდა შევაფასოთ, როგორც საბჭოთა წყობილების ჯანსაღი განვითარების სიმპტომი".

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „რუდე პრავო" სწერს:

„საბჭოთა ახალი კონსტიტუცია, რომელიც დამუშავებულია სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, არის ისტორიული მნიშვნელობის პირველხარისხოვანი მოვლენა მუშათა კლასისათვის და მთელი კაცობრიობისათვის. ეს კონსტიტუცია სოციალიზმის დიდ გამარჯვებას მოასწავებს".

ინგლისი

ლონდონი, 13 ივნისი. ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს მოსკოვიდან მიღებულ ცნობას და რედაქციის კომენტარიებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ და აღიარებს ამ ისტორიულ დოკუმენტის უდიდეს მნიშვნელობას. ზოგიერთი გაზეთი ცდილობს შეასუსტოს შთაბეჭდილება, რომელსაც საბჭოთა ახალი კონსტიტუციის პროექტი ახდენს ფართო მასებზე უცხოეთში, და ყოველგვარ შენიშვნებს აკეთებს პროექტის ნამდვილი აზრის დასამახინჯებლად.

მოწინავეში, რომელშიც მოყვანილია კონსტიტუციის პროექტის ძირითადი მუხლები და ხაზგასმით არის აღნიშნული ამხანაგი სტალინის როლი მის დამუშავებაში, „დეილი ექსპრესი" სწერს, საბჭოთა მთავრობა „ძლიერია და იმყოფება კარგ მდგომარეობაში, რომელიც უფრო და უფრო უმჯობესდება. მისი ახლანდელი პოლიტიკა უზრუნველჰყოფს მისთვის დემოკრატიულ ხალხთა მეგობრობას".

„მორნინგ პოსტმა" მოათავსა რეიტერის სააგენტოს ცნობა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ შემდეგი სათაურით: „დიდი ქარტია საბჭოთა მოქალაქეებისათვის".

„დეილი ტელეგრაფის" მოსკოველი კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს „პრავდის" სტატიას, რომელშიც აღნიშნული იყო კონტრასტი საბჭოთა დემოკრატიასა და გერმანიისა, იტალიისა და პოლონეთის მდგომარეობას შორის, და სწერს: საბჭოთა დემოკრატიასა და ფაშისტური სახელმწიფოების რეჟიმს შორის პრინციპული განსხვავების აღნიშვნა უაღრესად საგულისხმოა ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობის დასახასიათებლად.

„დეილი ჰერალდი" აცხადებს: „საბჭოთა ახალი კონსტიტუცია ფრიად საინტერესო დოკუმენტია". გაზეთი აღნიშნავს დემოკრატიის ბედს სხვა ქვეყნებში და აცხადებს, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი საბჭოთა კავშირში „არის მიზეზი ბედნიერი განწყობილებისა და მილოცვების.

დ. ზასლავსკი

შოთა რუსთაველი

ავთანდილ უბედნიერესი ადამიანი იყო ქვეყნიერებაზე. იგი ახალგაზრდა იყო, თვალტანად მშვენიერი. არაბეთის ძლიერმა მეფემ როსტევანმა მას მხედართმთავრობა მიანდო. როსტევანის ასული ტურფა თინათინ ეტრფოდა ავთანდილს და იგიც მზად იყო ქმრად გამხდარიყო. სიცოცხლე ნეტარი ჰქონდა.

მაგრამ ერთხელ ნადირობის დროს როსტევანი შეხვდება უცნობ მოყმეს რომელსაც ვეფხის ტყავი ემოსა. იგი წყლის პირას იჯდა. ღრმა მწუხარებას მოეცვა მისი სახე. მახლობლად იდგა მისი შავი ტაიჭი. მოყმის სახე მომხიბლავი იყო... მაგრამ იგი უკვალოდ გაჰქრა, როგორც კი სცადეს მისი გამოკითხვა, შეჰყრობა. ძებნამ უნაყოფოდ ჩაიარა.

როსტევანმა სიმშვიდე დაჰკარგა. უცნობის საძებრად ხანგრძლივი დროით გაემგზავრა მამაცი ავთანდილი. სამი წლის ძებნის შემდეგ როცა იგი უკვე იმედს ჰკარგავდა, უდაბურ ადგილას, ერთ გამოქვაბულში იპოვნა მწუხარე რაინდი ვეფხვისტყაოსანი. იგი მარტოდ დაეხეტებოდა, სასოწარკვეთილებას მიცემული. მას უყვარდა მისი ერთგული დობილი ასმათი.

ახალგაზრდები დამეგობრდნენ. ტარიელმა უამბო ავთანდილს თავისი ცხოვრების სივალალე.

მე ვარო ინდოეთის მეფის ფარსადანის შვილობილი, მისი ამირსპასალარი მიუხედავად ყრმობისა სახელგანთქმული სარდალი. იგი ეტრფოდა ფარსადანის ლამაზ, თამამ, ამაყ ასულს — მომხიბლავ ნესტან-დარეჯანს. ნესტანსაც უყვარდა იგი მაგრამ მეფემ გადასწყვიტა თავისი ქალი მიეთხოვებინა ხვარაზმის მეფისწულისთვის. ტარიელმა მოჰკლა სასიძო.

ფარსადანმა მთელი თავისი რისხვა დაატეხა თავის დას დავარს, რომელსაც ნესტან-დარეჯანის აღზრდა ჰქონდა მინდობილი. დავარმა კი მოაწყო ნესტან-დარეჯანის მოტაცება და თვითონ სადღაც გაჰქრა. ტარიელი ამაოდ ეძებდა მას. სასოწარკვეთილებამდე მისული მზად იყო თავი მოეკლა.

ტარიელის ნაამბობმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ავთანდილზე. ახლა მას არ შეეძლო დარჩენილიყო არაბეთის მეფესთან, განეახლებინა წინანდელი ცხოვრება, ყოფილიყო ბედნიერი მშვენიერ თინათინთან. მან მეგობრობის წმინდა მოვალეობად მიიჩნია დახმარებოდა ვეფხისტყაოსან მოყმეს. მან გადასწყვიტა მისთვის სიცოცხლეც გაეწირა, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა.

აურაცხელია ის საგმირო საქმენი, უშიშარმა და კეთილშობილმა ავთანდილმა რომ ჩაიდინა. მას ბევრ ქვეყანაში მოუხდა ყოფნა, მან გადასერა ზღვა, ებრძოდა მეკობრეებს.. მას ეხმარებოდა ტარიელის მეგობარი — კეთილშობილი ფრიდონი. როგორც იყო მიაგნო ტურფა ნესტან დარეჯანს. ურიცხვ მტრებთან გააფთრებული ბრძოლით ავთანდილმა, ფრიდონმა და ტარიელმა იხსნეს ტყვეობიდან კეკლუცი ასული. ასე დაუბრუნდა ბედნიერება ტარიელს. ავთანდილმა რომ შეასრულა ის, რასაც მეგობრობა უკარნახებდა, დაბრუნდა არაბეთის მეფესთან და შეირთო თავისი თინათინი.

ეს — ზღაპარია. ამ ზღაპარს ორმოცდაათ „ამბად" მოგვითხრობს შოთა რუსთაველის შესანიშნავი ქართული პოემა „ვეფხის-ტყაოსანი" ამ ჩვენს ზერელე გადმოცემაში მოცულია ამ ზღაპრის მხოლოდ დაახლოვებითი და უფერული ჩონჩხი. ფანტასტიკურია ამბები და ქვეყნები. ფანტასტიკურია სახელები. აღმოსავლური ორნამენტით არიან შემკულნი მოვლენანი და ადამიანები, ევროპის საშუალო საუკუნეთა დროის მიერ წარმოშობილნი. თვით პოეტი ამბობს:

> ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
> ვპოვე და ლექსად გარდავთქვი.

ფერადოვანი აღმოსავლური გაფორმებით ისახებიან პოემაში იდეები და ცნებანი, წინასწარ მაუწყებელნი ევროპის კულტურული აღორძინების ეპოქისა. პოემის გმირები — ეს რაინდები არიან, რომლებიც სჩადიან გმირობას თავიანთი მიჯნურების სასახელოდ — მაგრამ ესენი სრულიადაც არ არიან ნახევრად მისტიკური ლოენგრინები, წმინდა გრაალის ფიალის მსახურნი; ამას გარდა, მათი მიჯნურები სრულიადაც არ არიან განღმერთებული, ჰაეროვანი ქმნილებანი. ესენი რაინდთა სულ სხვა ტიპები არიან. ისინი უშიშარნი, კეთილშობილნი არიან. ხოლო მათი მიჯნურნი — მშვენიერნი. მაგრამ ყველა ისინი სიცოცხლით არიან აღსავსენი და მხოლოდ ამ ქვეყნიურ მიზნებს ემსახურებიან. ისინი ძეხორციელნი არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

და მაინც გარეგნულად ეს თითქოს მარტო ზღაპარია. აქ მოქმედებენ მონებით გარსშემორტყმული მეფეები და რაინდები. ის, რაც პოემაში „დედანთან სწორია" — ეს არის ადრინდელი ფეოდალიზმი. მეცნიერ-ისტორიკოსებს პოემა უხვ მასალას აძლევს გაეცნონ საქართველოს XII-XIII საუკუნეთა სოციალურ ურთიერთობას. მაგრამ ამას როდი შეუქმნია შესანიშნავი პოემის უდიდესი მიმზიდველი ძალა. რატომ არის რომ საუკუნეთა განმავლობაში იგი ისევე აჯადოებდა ხალხს, როგორც როსტევანი მოაჯადოვა ვეფხისტყაოსანმა მწუხარე მოყმემ?

მშრომელთა საქართველომ, ხალხის მასების, ნამდვილმა საქართველომ დიდი ხანია, რაც რუსთაველი თავის ტარიელად, თავისი ლირიკის საყვარელ გმირად გაიხადა. ქართველ სამღვდელოებას თავისი განზრახვის შესრულება რომ მოეხერხებინა და მოესპო პოემის ყველა ხელნაწერი, ხალხი მეხსიერებით აღადგენდა მას. „ვეფხის-ტყაოსანი" — ეს ნამდვილი ხალხური პოემაა. რუსთაველი — ისტორიული პიროვნებაა, თუმცა მისი ცხოვრების დაწვრილებითი ამბები არავინ იცის. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო თავის დროისათვის უაღრესად განათლებული ადამიანი, ერთერთი იმ უდიდეს განმანათლებელთაგანი, რომლებიც ქრისტიანული ეკლესიის ბნელეთის მოციქულობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. პოემაში ფართოდაა წარმოდგენილი ხალხები და გეოგრაფია — ჩინეთიდან ჰიბრალტარამდე. რუსთაველი იცნობს ბერძნულ ფილოსოფიას და სპარსულ ლიტერატურას. მაგრამ მის საოცარ ერუდიციას არა აქვს მწიგნობრული ხასიათი. მან შესძლო გამოეხატა თავის პოემა — ზღაპარში ის, რაც ყველაზე უფრო ახლობელი და ძვირფასია ხალხისათვის.

თითქოს ვერაფერი უნდა მისცეს ახლანდელ მკითხველს გულუბრყვილო ზღაპრულმა ქარგამ. როგორ შეიძლება დააინტერესოს და მოხიბლოს იგი მეფეებისა და მეფის წულების თავგადასავალმა? მაგრამ მხოლოდ საბჭოთა საქართველოში შეიძლება გახდეს დიადი პოემის 750 წლისთავი ნამდვილი სახალხო დღესასწაული და მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში შეეძლო დაეწყო „ვეფხისტყაოსანს" ხალხთა ძლევამოსილი ჩასვლა.

პოემა გენიალურია. მისი მუსიკალობა არასაკმაოდ დამაკმაყოფილებელ თარგმანშიაც კი მოისმის. პოემა გვხიბლავს პოეტურ შედარებათა და სახეების ხალასობითა და ალეგორიებით. მას გატაცებით ვკითხულობთ, როგორც წარმტაც სიტუაციებით აღვსილ რომანს. იგი შეუქმნია განსაცვიფრებელ ოსტატს, რომელსაც უაღრესად განვითარებული აქვს მხატვრული ზომიერების გრძნობა. ეს არის ლიტერატურის ერთერთი უდიდესი მსოფლიო ძეგლი და საუცხოო ისტორიული საბუთი, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ XII-XIII საუკუნეების ქართველ ხალხზე. გავიხსენოთ: ეს იყო ევროპის ჯვაროსნულ ლაშქრობათა ხანა, მის ისტორიულ ჰორიზონტზე კიაფობდნენ მომავალი აღორძინების მხოლოდ პირველი სუსტი სხივები... საქართველოს კულტურას სამართლიანად შეეძლო პირველი ადგილი მოეთხოვნა. ხალხი, რომელიც ისტორიამ აღმოსავლეთის და დასავლეთის გზაჯვარედინზე დააყენა, წარმოშობდა დიდი ნიჭის, რევოლუციური თავისუფალი აზროვნების, ღრმა სიბრძნის ადამიანებს.

ამ ქვეყანამ შესანიშნავი სიყვარულით გამოატარა თავისი „ვეფხისტყაოსანი" ყველა ისტორიულ განსაცდელში; იგი არ ივიწყებდა მას მეფის მთავრობის უდიდესი დევნა-შევიწროვების წლებში, ქართველი თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის უდიდესი მოღალატეობის წლებში.

ჩვენს წინაშე დევს რუსთაველის პოემის პირველი სრული რუსული თარგმანი. ჩვენ ვკითხულობთ:

„ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული სიკეთისა ხელის მძღლი".

მაგრამ რუსულ თარგმანშიაც გვიმორჩილებს ჩვენ რუსთაველის მომხიბვლელობა. ჩვენ გვესმის, თუ რატომ არის, რომ ქართულ სოფლებში დღესასწაულებზე სახალხო მომღერლები ამბობენ რუსთაველის ლექსს, როგორც მუსიკას. მაგრამ გასაგები ხდება სხვა გარემოებაც: სახელდობრ თუ რატომ არის ჩვენს დროში ეს ძველებური პოემა ასე ახლობელი იმ ახალგაზრდობისათვის, რომლისთვისაც მეფეები და მოყმენი ეს თითქმის ისეთივე საგნებია, როგორც ფერიები, ალი, ჯადოქარი.

რუსთაველის პოემაში ფანტასტიკური, ზღაპრულია ამბები, სახელები, ქვეყნები, მაგრამ საქმე ეს კი არ არის. ისე როგორც საჭადრაკო მეფის გვირგვინმა დაჰკარგა თავისი ისტორიული ნივთობრიობა, ისევე შემოეძარცვა როსტევანს ტანზე მეფის ტანისამოსი. ეს მხოლოდ ის არის, რაც მეცნიერ მკვლევართათვის დარჩა. ხოლო პოემაში სცოცხლობენ, გვიზიდავენ, გვხიბლავენ ადამიანები. ეს არის ძირითადი, რეალური და რეალისტური რუსთაველის პოემაში. გენიალური ძალით უმღერის იგი უშიშარი, მამაცი, ძლიერი ადამიანების გმირობას. პოემაში რაინდობა გამოგონილი როდია. იგი ხალხის თქმულებებიდან იშვა. მაგრამ იგი თავისუფალია ევროპის ფეოდალიზმის ისტორიული პლასტებისაგან. მასში არ მოიპოვება არც ურჯულობა, არც ასკეტიზმი, არც ეკლესიის ლოცვით ნაკურთხი ძალადობა. რუსთაველის რაინდები — ეს ხალხის რომანტიკული ბელადები არიან. ასეთებად შექმნა ისინი ხალხის წარმოდგენამ.

გვატყვევებს გმირების მთლიანობა. მათი გრძნობანი ღრმა და წმინდაა. თავისი მგზნებარებით, თავგანწირულობით, თავდადებით ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიყვარული არ ჩამოუვარდება რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულს. მათი ახალგაზრდობაც ასევე მომხიბლავია. შეუძლებელია მათი წერილების კითხვა აუღელვებლად; ისინი აღსავსე არიან პოეტური სინაზით. მათ შეუძლიათ კომპოზიტორები შთააგონონ. მაგრამ ნესტან-დარეჯანი ძლიერი და თავისუფალი ქალია. მას შესწევს უნარი იბრძოლოს თავისი სიყვარულისათვის: იგი განსაკუთრებული ძალის პიროვნებაა, რომელსაც ტოლი არა ჰყავს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში. ასეთი სახე შეიძლებოდა აღჩენილიყო მხოლოდ იმ ხალხში, რომელმაც იცის თავისუფლების ფასი და რომელმაც წარმოშვა ძლიერი და გაბედული, მამაკაცთან თანასწორუფლებიანი ქალები. რუსთაველის პოემა დაწერილია XII საუკუნეში. რუსულ ხალხურ შემოქმედების გენიალურ ნაწარმოებში — „თქმულება იგორის ლაშქრობის შესახებ", რომელიც ამავე ეპოქაში წარმოიშვა, ძლიერი ნესტან-დარეჯანის სახეს შეესაბამება მგლოვიარე იაროსლავნას სახე.

პოემა უგალობს მეგობრობას ბრძოლასა და განსაცდელში, როგორც ადამიანის უმაღლეს გრძნობას, რომელიც მხოლოდ უშიშარი და ძლიერი ადამიანებისათვის არის ხელმისაწვდომი. ტარიელის და ავთანდილის ძმური კავშირი ურღვევი იყო. ისინი ერთმა ამოცანამ დააკავშირა, მათ ერთმანეთს შეჰფიცეს ერთგულება. ეს, რა თქმა უნდა, რაინდთა პირადი კავშირი იყო. მაგრამ სწორედ მან უზრუნველჰყო მათი გამარჯვება. არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ დასტოვებდა ავთანდილი ტარიელს განსაცდელში. ეს — ზღაპარია. მაგრამ გენიალური ძალით და მარტივად მოთხრობილი ზღაპარი საბჭოთა მსმენელის და მკითხველის მონათესავე სიმებს აჟღერებს. ეს მკითხველი თვალს ადევნებს ვეფხისტყაოსან მოყმეს და ახსენდება საბჭოთა გმირები. იგი ტყუბილობს, თუ რა მშვენიერია ერთგულებისა და მეგობრობის გმირობა.

პოემა უმღერის უშიშარ ადამიანთა პატიოსნებას, კეთილშობილებას. რუსთაველის გმირები, როცა ეს საჭიროა. სამხედრო ხერხებსაც მიმართავენ. ავთანდილი ტანისამოსს იცვლის, ატყუებს დარაჯებს. მაგრამ ქართული პოემის რაინდებისათვის უცხოა ორგულობა, თვალთმაქცობა. ისინი ძლიერნი არიან თავიანთი პირდაპირობით, თავიანთი ზნეობრივი მთლიანობით. მათ იციან მტრის სიძულვილი, იციან მეგობრების სიყვარული, მაგრამ ისინი არასოდეს არ ეწევიან ინტრიგებს, არ პირმოთნეობენ და ვერც იტანენ პირმოთნეობას. ისინი რაინდები არიან ამ სიტყვის საუკეთესო რომანტიკული მნიშვნელობით, მაგრამ ყოველგვარი ლიტერატურული სიტკბონამეტნობის გარეშე. ისინი ძალიან მედგრად იბრძვიან პოემაში, მაგრამ კარგადაც მხიარულობენ, იციან კარგი სმა-ჭამა, მტკიცედ და გატაცებით სიყვარული. სწორედ ენერგიული ცხოველმყოფელობის ეს ტონი ჰმატებს რუსთაველის პოემას განსაკუთრებულ მიმზიდველობას. მასში ბევრია ცრემლი და ნაღვლიანობა მაგრამ არც ერთი ბეწო მტირალობა. პოემა გამსჭვალულია ოპტიმიზმით, აღსავსეა ნათელი შუქით, მზით.

ესაა მისი წარმატების მიზეზი. ჰომერი გენიალურია, მაგრამ მას სწავლობენ მხოლოდ უნივერსიტეტებში, კითხულობენ მხოლოდ სკოლებში. დანტეს არც სკოლებში კითხულობენ. შექსპირს უფრო მეტად უყურებენ და ისმენენ სცენაზე, ვიდრე კითხულობენ. მსოფლიო გენიოსთა ამ ოჯახში რუსთაველი ღვიძლი ძმა და შვილია. მაგრამ მას კითხულობს და მღერის ხალხი, და ის ქართველ ხალხზე იმდენსავე მეტყველებს, რამდენსაც რუსთაველზე. იმ ქვეყანას, რომელმაც არა თუ შექმნა საუცხოო პოეტი არამედ შეინარჩუნა კიდეც მისი ხსოვნა მეფის მოხელეებისა და თავიანთივე ბატონების ყოველგვარი ღონისძიების წინააღმდეგ, — უშიშროებასა და ერთგულებას, ხალხისადმი სიყვარულს და ამაყ პირდაპირობას უნდა შეექმნა

ტფილისის მშრომელნი იხილავენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს

9, 10 და 11 ივნისს ტფილისის საწარმოებში დიდი სიცხოველით ჩაიარა საქ. კ. პ. (ბ) ცენ. კომიტეტის გადაწყვეტილებათა წაკითხვამ და განხილვამ.

პლენუმის გადაწყვეტილებათა წაკითხვა მოხდა კალინინის სახელობის ქარხანაში, თამბაქოს ფაბრიკებსა და ტრამვაიში, ტრამვაის ყველა სამქროსა და პოლიტკოლებში, ტფილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასა და სხვ. საწარმოებში.

ამ საწარმოებში ამ დღეებში დაწვრილებით განიხილავენ ცენ. კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ტფილისის რკინიგზის კვანძის ყველა საწარმოშიც გაიმართა მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე ცენ. კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა წაკითხვა.

მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ პლენუმის რეზოლუციებს და ერთსულოვნად მოიწონეს.

დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა წაკითხვამ ტფილისის ორთქლმავლის დეპოში. პლენუმის მასალების გარშემო გამართული საუბარი გამსჭვალული იყო უსაზღვრო რწმენით ხალხთა ბელადისადმი — დიდი სტალინისადმი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავს ახალი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

მემანქანე — სტახანოველება ამხ. შიმანსკი, გუბინი, ოდიაძე ამბობენ, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი მილიონობით ადამიანებს აღაფრთოვანებენ ახალი გმირობისათვის.

— ჩვენ, მეორთქლმავლენი, პლენუმის გადაწყვეტილებებს ვუპასუხებთ შრომის ახალი, მაღალი ნაყოფიერებით და კიდევ უფრო ენერგიულად ვიბრძოლებთ ჩვენი ორთქლმავლებისა და ტრანსპორტის მაღალი მაჩვენებლებისათვის.

კვანძის ყველა საწარმოს მუშები მადლობით იხსენიებდნენ ამხ. სტალინის სახელს, რომელმაც დროულად წამოაყენა ახალი კონსტიტუციის საკითხი.

ახალი კონსტიტუცია, რომელიც დამუშავებულია ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით, ამბობენ მუშები, — ფართო შესაძლებლობას გადაუშლის სოციალისტურ მშენებლობას და დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის წინსვლას უკლასო საზოგადოებისაკენ. (ადს).

◇ ◇ ◇

კომკავშირის ტფილისის კომიტეტის პლენუმი

13 ივნისს საღამოს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სხდომათა დარბაზში შესდგა საქ. ალკკ ტფილისის კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანმა ამხ. მგელაძემ.

პლენუმმა განიხილა საქ. ალკკ ტფილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ცქვიტინიძის მოხსენება ტფილისის ბავშვებს შორის საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის გეგმის შესახებ.

ამხ. ცქვიტინიძის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. აზრუმელაშვილი (ლენინის რაიონი), გევორქოვი (კოჯორის პიონერთა ბანაკის უფროსი), ელიაშვილი (საქართველოს პროფსაბჭო), თევდორაძე (სკოლისგარეშე მუშაობის კომბინატი). მათიაშვილი (ორჯონიკიძის სახ. რაიონი). მილშტეინი (საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო), გუდავაძე (საქ. ალკკ ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი), მოისწრაფიშვილი (ლენინის რაიონი), პიროჟკოვი (ტფილისის ჯანგანყოფილება) და ქაჯაიაძე (საქ. ალკკ ტფილისის კომიტეტი).

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულებმა აღნიშნეს რომ არასაკმაოა ბავშვთა შორის საზაფხულო მუშაობის მზადების ტემპები.

ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებიან სახალხო განათლების ორგანოები და პროფკავშირული ორგანიზაციები. საკმაო ყურადღება არ ექცევა საზაფხულო მუშაობის ადგილებზე ბავშვთა კვების ორგანიზაციის საქმეს, ბავშვთა კინომომსახურებას, ფიზპოსტების მუშაობას და სხვ.

აგრეთვე აღნიშნული იქნა, რომ წელს ბავშვთა შორის მუშაობა მაინც უფრო უკეთ მოეწყობა, ვიდრე წინაწლებში (გასული წლის გამოცდილების საფუძველზე). კერძოდ, მოეწყობა ტიკინების მოძრავი თეატრი, სათამაშოები, გამაჯანსაღებელი მოედნები და სხვ.

შემდეგ პლენუმმა განიხილა ს-კ თავდაცვა - ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გიორგაძის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა ტფილისის კომკავშირული ორგანიზაციის მონაწილეობას კომკავშირის, თავდაცვა-ავიაქიმის და წითელი ჯვრის ორგანიზაციათა საკავშირო შეჯიბრებაში თავდაცვითი მუშაობის ხაზით.

ამხ. გიორგაძის მოხსენების გამო, გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. მღებრიშვილი (საქ. ალკკ ტფილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახელობის რაიკომი), შულაია (ტრამვაი), გ. გნედენკო (ტფილისის მაცივარი), ბალდასაროვი, ბელოვი და სხვ.

გამოსული ამხანაგები აკრიტიკებდნენ თავდაცვა - ავიაქიმის ცალკეული ორგანიზაციების მუშაობას და ჩერდებოდნენ შეჯიბრების ამოცანებზე.

აღნიშნულ იქნა, რომ ტფილისში ძალიან ცოტაა კულტურული ტირები, რომ საჰაერო კლუბის და საპლანერო სკოლის მუშაობას დეფექტები ახასიათებს და რომ თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობაში ადგილი აქვს კამპანიურობას. ძალიან საგრძნობია ხელმძღვანელობის, ინვენტარის და სხვ. ნაკლებობა.

ამასთან განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ტფილისში მოიკოჭლებს ავიომოდელო საქმე.

მოხსენებათა გამო მიღებულ გადაწყვეტილებებში პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია იქეთკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნას ბავშვთა შორის საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ დაყენება და უკეთ ჩატარდეს საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებული შეჯიბრება.

◇ ◇ ◇

ამუშავდა ჩაის საცდელი ფაბრიკა

მახარაძე, 9 ივნისი. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილება და ამხ. ლ. ბერიას მითითება ჩაის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტთან ჩაის საცდელი ფაბრიკის აგების შესახებ — შესრულებულია. 7 ივნისს ფაბრიკა უკვე ამუშავდა.

ინსტიტუტის დირექტორი **ბოგოხიძე**

ახალი შესანიშნავი ადამიანები — და ისინი კიდევ შეიქმნენ.

რუსთაველის 750 წლისთავი — ეს მისი პირველი იუბილეა. ან კი როდის შეეძლო ქართველ ხალხს ღირსეულად აღენიშნა თავისი რუსთაველი წინანდელ დროს? ამის საშუალება მას არ ჰქონდა. ამის ნებას მას არ მისცემდნენ მეფის რეჟიმის მოხელეები. ამისთვის სუსტი ძალღონე არ ეყოფოდა ქართველ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას. და თვითონ დღესასწაულიც ვერ გასცილდებოდა საქართველოს ფარგლებს. ქართველი ნაციონალისტური ბურჟუაზია და მენშევიკები ცდილობდნენ რუსთაველი ექციათ თავიანთი ზომის ფიგურად: ექციათ მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალურ პოეტად ამ სიტყვის ძალიან ვიწრო მნიშვნელობით. ამაში მდგომარეობდა თავისი ხალხის სახელოვანი წარსულის უღირსი, დაჩანაგებული ინტელიგენციის პროვინციალიზმი. შემთხვევითი როდია, რომ რუსეთის მკითხველი საზოგადოება რუსთაველს მხოლოდ სახელითა და ზოგიერთი ნაწყვეტით იცნობდა.

და საბჭოთა საქართველოს მხოლოდ ახლა შეუძლია ნამდვილად დაანახვოს მთელს მსოფლიოს თავისი რუსთაველი, როგორც მსოფლიო პოეტი. მის ნაწარმოებს საუცხოოდ გამოცემენ თვით საქართველოში, მას იცნობს მთელი ხალხი — დიდიდან პატარამდე. იგი უყვართ. მასზე იზრდება მასების მხატვრული გემოვნება. მის სკოლაში იზრდებიან პოეტები. და ამ დიდი ქართველი პოეტის ხსოვნის დღესასწაული შორს სცილდება საქართველოს ფარგლებს. ეს არის კულტურის სრულიად-საკავშირო ზეიმი სოციალისტურ ქვეყანაში, სადაც ხალხთა ძმობა ისევე მტკიცეა, ისევე ურყევია, როგორც ის ძმობა, რომელსაც რუსთაველი თავის პოემაში უგალობს.

„ვეფხის-ტყაოსნის" რუსული თარგმანი საუცხოოდ არის გამოცემული, როგორც ისეთი წიგნი, რომელსაც გამომცემლობა „აკადემია" საბჭოთა მკითხველს საჩუქრად უძღვნის. შინაარსიანი წინასიტყვაობა აცნობს მკითხველს რუსთაველის ცხოვრებას, მის ეპოქას, მისი წიგნის ისტორიას. წიგნის გარეგნული გაფორმება სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელი ექსპედიციის სტამბას დიდის ყურადღებით და სიყვარულით შეუსრულებია. დიდი დაგვიანებით ავსებს რუსი მკითხველი თავის კულტურულ ფონდში ფრიად არსებით ხარვეზს და ისიც არც თუ სავსებით. ბალმონტის თარგმანი უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ პირველ ნაბიჯად.

და ბალმონტის მრავალი წლის შრომა რუსთაველის თარგმნაზე, ის შეუპოვრობა, რომლითაც იგი ამაოდ მოუწოდებდა რუსეთის ბურჟუაზიული მკითხველის ყურადღებას დიდი ქართველი პოეტისაკენ შეადგენს ბალმონტის დამსახურებას, რაც მის სახელს დავიწყებას გადაარჩენს. მაგრამ ბალმონტმა თავის თარგმანში ვერ შესძლო გადმოეცა ქართული პოეტური სიტყვის სინარნარე, ვერ შესძლო მთლიანად აესახა აგრეთვე რუსთაველის მკაცრი პირდაპირობის, რაინდული უშიშრობისა და უდიდესი სიმართლის სულიც.

მაინც საბჭოთა მკითხველს წინ უდევს რუსთაველის მთლიანად თარგმნილი პოემა და რუსული ლიტერატურისათვის ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. იგი ავალებს საბჭოთა საუკეთესო პოეტებს, თუნდ დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოიხადონ თავიანთი ვალი მკითხველის წინაშე. მათ უნდა მოგვცენ გენიალური რუსთაველისა და ჩვენი დროის ღირსი თარგმანი.

მსოფლიო ლიტერატურის სხვა გენიალურ ძეგლებთან ერთად რუსთაველის პოემა უნდა შევიდეს სკოლის პროგრამებში, უნდა გახდეს საბჭოთა კულტურის ძირითადი ფონდის ნაწილი.

„პრავდა", 6/VI.

◆

მოზარდ თაობას—ჯანსაღი დასვენება

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს სკოლებში გათავდება წლიური გამოცდები და სასწავლო წელიწადიც. ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ბავშვებს, პიონერებსა და მოწაფეებს ზაფხულის განმავლობაში საუკეთესო დასვენება, გართობა, და მხიარულება უნდათ. პარტია და ხელისუფლება ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენს მოზარდ თაობას საამისოდ საუკეთესო პირობები ჰქონდეს.

წელს საქართველოს კომკავშირის, განათლებისა და ჯანმრთელობის ორგანოები პიონერთა და მოწაფეთა ჯანსაღი დასვენებისათვის შარშანდელზე უკეთ მოემზადნენ. პიონერთა რესპუბლიკური ბანაკი ამხ. ლ. ბერიას სახელობისა ქვიშხეთში, ცემში, სურამში, კოჯორში და უძოს — გაფართოებით ემზადებიან, უკანასკნელ სამუშაოებს ასრულებენ, რომ ახალგაზრდობას ღირსეული მასპინძლობა გაუწიონ.

მარტო ქვიშხეთის ბანაკი წელს 400 პიონერს გაატარებს. მის კეთილმოწყობასა და შენახვაზე 300 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯება. ეს ბანაკი მთლიანად გადაკეთდება და სანიმუშოდ ეწყობა. სწარმოებს სახლების კაპიტალური რემონტი, აბანოებისა და დამხმარე მეურნეობათა წესრიგში მოყვანა, ეზოს გამწვანება, მხატვრული აუზის მოწყობა. მახლობელ გორაკზე აგებენ დიდ წყალსაცავს, შენდება ახალი სათეატრო ესტრადა.

საქართველოს წითელი ჯვრის ც. კ-ი კურორტ ცემში აწყობს სანატორიული ტიპის ბანაკს. სურამში ბანაკის მოწყობა დავალებული აქვს აგრეთვე ჯანსახკომს.

ამას გარდა საქართველოს თითქმის ყველა რაიონი აწყობს ბანაკებს, მოედნებს, სანატორიუმებს. მაგალითად, ჩხარის რაიონში ორ ბანაკსა და 10 მოედანს აწყობენ, ჯუღელში — ერთ ბანაკსა და 5 მოედანს. ასევე თითო ბანაკსა და რამდენიმე მოედანს აწყობენ მარტვილის, გურჯაანის, თელავის, ამბროლაურის, სამტრედიის, აბაშის, მახარაძის, წულუკიძის, ფოთის, ბორჯომის, დუშეთის, ცხაკაიას, ზუგდიდისა და სხვა რაიონები.

პიონერთა სარაიონო მნიშვნელობის ბანაკებისათვის მარტო ადგილობრივი ბიუჯეტით წელს 450 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯება. ამას მიემატება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშობლების მიერ ნებაყოფლობით გაღებული თანხები. მარტო ეს ფაქტიც კი გვიჩვენებს, თუ რა დიდი მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდებიან პარტია და ხელისუფლება ჩვენს ბედნიერ ახალთაობას.

საქ. ჯანსახკომის ცნობით, ფართოდ გაიშლება ბავშვთა გამაჯანსაღებელი მუშაობაც. საქართველოს განთქმულ სამთო-კლიმატურ სადგურებში (კოჯორში, მანგლისში, პატარა ცემში, წაღვერში) იმუშავებს 4 სანატორიუმი მოზარდთათვის და სამიც სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის. მოეწყობა სანატორიული ტიპის საბავშვო სახლები კოჯორსა და ქობულეთში. ჯანსახკომი წელს ბაკურიანში ხსნის მუდმივ სანატორიუმს, სადაც იმკურნალებენ ქუჩიდან აყვანილი და ყოფილი უპატრონო ბავშვები. ახალდაბასა და სურამში ეწყობა ბავშვთა გამაჯანსაღებელი ორი ახალშენი.

ქობულეთის რაიონი. ჩაის კრეფა სოფ. ქვირიკას პლანტაციებში.

ბავშვთა გამაჯანსაღებელ რესპუბლიკური და რაიონული მნიშვნელობის პუნქტებს წელს ორგანიზებული წესით გაივლის 80 ათასზე მეტი ბავშვი და მოზარდი. მათთვის უზრუნველყოფილი იქნება ნოყიერი და გაძლიერებული კვება, ჯანსაღი ჰაერი და წყალი, საუკეთესო ბინა და თავშესაფარი.

ზღვის სანაპირო კურორტებზე (სოხუმი, გაგრა, ქობულეთი, მალთაყვა, მწვანე კონცხი), ცალკეულ აგარაკებში (ბახმარო, შოვი, წყალტუბო) ბავშვებს ყველგან სათანადო ადგილი აქვს დათმობილი, ყველგან გრძნობენ ისინი მზრუნველობასა და განსაკუთრებულ ყურადღებას. არც არაორგანიზებული წესით დამსვენებელი ბავშვები არიან მივიწყებული. ყველა პიონერსა და მოწაფეს, რომელიც თავის მშობლებთან ერთად მიემგზავრება საგარაკოდ, დახვდება იშვიათი გემოვნებითა და მზრუნველობით მორთული მოედნები, სოლარიუმები, საბანაოები, კლინიკური პლაჟები, საბავშვო პოლიკლინიკები, სათამაშოები და დამაინტერესებელი გასართობები.

საქ. ალკკ ტფილისის კომიტეტი და განათლების განყოფილება სანიმუშოდ აწყობენ კოჯრისა და უძოს ბანაკებს. წელს ეს ბანაკები საგრძნობლად გაფართოებულია.

შ. ჯიქია.

პირველი ნაბიჯები

ტფილისის მაუდის ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაცია დროულად შეუდგა საქ. ა.ლ.კ.კ მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავებას. ჯერ კიდევ ყრილობის მიმდინარეობის პროცესში ქარხნის კომკავშირის კომიტეტი (მდივანი ვ. დვალი) სისტემატურად აწყობდა ყრილობის მასალების წაკითხვას სამქროებში. 5 მაისიდან დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს ყრილობის დადგენილებების დამუშავება და შესწავლა პოლიტ წრეებში. წაიკითხეს ლექციები ცალკეულ საკითხებზე (მაგ. რატომ არის კომკავშირი უპარტიო ორგანიზაცია და სხვა.) ამ საქმეში განსაკუთრებულ დახმარებას უწევს კომკავშირს ფაბრიკის პარტიული კომიტეტი და პარტკაბინეტი. ცალკეულ სამქროში პარტკომმა კომკავშირის ჯგუფებზე მიამაგრა კომუნისტები: ალიბეგაშვილი, არუთინოვა, კირეულაშვილი. მასალების დამუშავების პროცესში ფართოდ გამოიყენეს რადიო, კლუბი და სამკითხველო.

სამქროებში კომკავშირელებს მასალების დამუშავების დროს შემოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებები, რის საფუძველზედაც კომკავშირის კომიტეტმა შეადგინა თავისი სამუშაო გეგმა. კომკავშირელების შემოტანილი წინადადებები პრაქტიკული ხასიათის იყო: მაგალითად, ქარხნის ახალგაზრდა სტახანოველმა ამხ. ნიკოლოსოვმა ამხ. კოსარევის მოხსენების დამუშავების დროს განაცხადა: „მე მინდა გავხდე მფრინავი და ვთხოვ კომკავშირის კომიტეტს დამეხმაროს ამ საქმეში". არა ერთია ასეთი ენთუზიასტი ახალგაზრდა ქარხანაში, რომლებსაც სურთ სამხედრო საქმის დაუფლება. კომკავშირელების მოთხოვნით დაარსდა სატანკო წრე. ცხრა კომკავშირელმა წარმატებით დაასრულა პარაშუტის წრე.

განსაკუთრებული მუშაობა გასწია კომკავშირის ორგანიზაციამ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში: ორგანიზაციის წინაშე დაისვა საკითხი: როგორ შეასწავლონ ყრილობის მასალები იმ კომკავშირელებს, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან. ეს საკითხი პრაქტიკულად გადაწყდა. მაგალითად, ორგანიზაციამ სპეციალურად მიამაგრა ამხ. აპრესოვთან პროპაგანდისტი, და დაავალა შეასწავლოს წერა-კითხვა. ამ მიმართულებით გარკვეული შედეგი უკვე არის: სწავლებამ და პოლიტიკურმა გათვითცნობიერებამ ამხ. აპრესოვს ხელი შეუწყო რათა ის გამხდარიყო ქარხნის მოწინავე ადამიანი, სტახანოველი. დღეს ის სამ დაზგაზე მუშაობს.

კომკავშირის ორგანიზაცია ამ პირველი შედეგებით არ უნდა დაკმაყოფილდეს. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც 271 კომკავშირელიდან მხოლოდ 150 კაცს აქვს ამხ. კოსარევის მოხსენება, ხოლო ამხ. ანდრეევის სიტყვა 70 კაცს. არც წესდების და პროგრამის მასალებით არიან კომკავშირელები უზრუნველყოფილნი. კომიტეტმა უნდა უზრუნველჰყოს თვითეული კომკავშირელი მე-10 ყრილობის მასალებით. კომკავშირი სუსტად იბრძვის მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებთა შესწავლისათვის. ეს საქმე მივიწყებული დარგია კომკავშირის მუშაობაში. სუსტად მუშაობენ თვითმოქმედი წრეები. ეს წრეები ჯერ მასობრივ წრეებად არ გამხდარან. მათში მხოლოდ 25 კაცია ჩაბმული. საჭიროა გამოვაცოცხლოთ მათი მუშაობა.

ქ. აქბარდია.

◇ ◇ ◇

ჯუღელელთა გამარჯვება

ფერომარგანეცის ქარხანა სტახანოვურ წელს საკმაოდ მომზადებული შეხვდა. ქარხნის სახელოვანმა ადამიანებმა შესძლეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის დავალების ბრწყინვალედ შესრულება. ქარხანამ აპრილში დაიწყო 75 პროცენტიანი ფეროსილიციუმის გამოდნობა, რაც დღემდე მხოლოდ ჩელიაბინსკის ფეროშენადნობის ქარხანაში კეთდებოდა. ამ საქმისათვის ყოველმხრივ მოამზადეს ღუმელი № 3 და გამოდნობა დაიწყეს არა ქვარციტზე, როგორც ეს ჩელიაბინსკშია, არამედ აჯამეთის ხალცედონის ქვის საშუალებით. აჯამეთის ხალცედონი საუკეთესო გამოდგა ფეროსილიციუმის ღუმელისათვის. ეს ქვა თვით ქარხნის მუშაკებმა აღმოაჩინეს. ხალცედონი გამძლეა, რითაც ღუმელს შეუძლიან მთელი თვის განმავლობაში ადნოს 75 პროც. ფეროსილიციუმი, რაც შეეხება ქვარციტს, იგი ცუდია და მით ღუმელი მთელი თვის განმავლობაში უწყვეტლივ ვერ მუშაობს.

ქ. ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა 75 პროცენტიანი ფეროსილიციუმის გამოდნობა, როგორც ეს ქარხნის ტექნიკურმა დირექტორმა ამხ. ილია ნიჟარაძემ განაცხადა, აითვისეს 3 თვის განმავლობაში. მაისში ჯუღელელებმა ნაცვლად 300 ტონა ფეროსილიციუმისა ქვეყანას მისცეს — 344 ტონა. ამრიგად, გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ამ შენადნობთან ერთად ქარხანამ აპრილსა და მაისში აითვისა სილიკო-მარგანეცის გამოდნობა და დღეღამეში შესძლო 32-35 ტონის გამოშვება. ამ მიღწევათა მოპოვებისათვის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. პიატაკოვმა მადლობა გამოუცხადა ქარხნის დირექტორს ამხ. მზარეულაშვილს და ტექნიკურ დირექტორს ამხ. ნიჟარაძეს. პიატაკოვისავე წინადადებით „სპეცსტალმა" ამხ. მზარეულაშვილი და ნიჟარაძე დააჯილდოვა ორი თვის ხელფასით, ხოლო ქარხნის ტექნიკური ნაწილის უფროსი ამხ. ლორთქიფანიძე და სადნობი სამქროს უფროსი ამხ. ჩიტაძე — თვენახევრის ხელფასით.

ქარხანამ მაისის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა და „სპეცსტალის" ფეროშენადნობის საწარმოთა შორის პირველი ადგილი დაიჭირა. ახლა მძიმე მრეწვ. სახალხო კომისარიატის ბრძანებით ქარხანამ მზადება დაიწყო სილიკოკალციუმისა და მეტალურგიული მარგანეცის გამოდნობისათვის. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ქარხანაში ამუშავდება 3 ახალი ღუმელი, ხოლო კვარტალის დასაწყისში მუშაობას დაიწყებს ელექტროდის დამამზადებელი სამქრო.

ქარხანა ერთ მილიონ მანეთს მიიღებს ფერომოლიბდენის სამქროს მოსაწყობად, რომლის ხარჯთაღრიცხვა და პროექტი „სპეცსტალმა" 2 ივნისს დაამტკიცა. წელსვე აჯამეთის ხალცედონის საბადოების დასამუშავებლად გაღებულია 250 ათასი მანეთი, ხოლო ამ საქმის სათანადოდ მოწყობისათვის დაიხარჯება ორ მილიონ მანეთამდე.

ჯუღელელები შეუპოვრად იბრძვიან ახალ-ახალი შენადნობის ათვისებისათვის. სტახანოვურმა წელმა ფერომარგანეცის ქარხანაში დიდი გარდატეხა მოახდინა.

ტფილისი. [illegible] № 49-50 უბნის [illegible] სტახანოველები საქ. კ. პ. (ბ) წევრები ამხ. სომხიევი და ქურციკაშვილი სწავლობენ სოციალისტურ ხელშეკრულებას [illegible] ბრიგადების უფროს ამხ. [illegible] უკეთ მოამზადებენ. ამხ. ქურციკაშვილი და სომხიევი არაერთხელ არიან დაჯილდოებული.

პატარა ფელეტონი

სადაც საიათნოვა ბანაობდა!

— „რაც გინახავთ, ველარ ნახავთ"-ახყვირის დღეს ტფილისის ყოველი ქუჩა, ყოველი უბანი, ყოველი კუთხე და ამ ძახილს ნარიყალაც ბანს აძლევს.

გინდათ ნახოთ ის უბანი „თათრის ღოლორიე", რომელსაც ძველი ტფილისის ყარაჩოღელები შეხიზნებოდნენ, სადაც, როგორც პოეტი ი. გრიშაშვილი ამბობს, [illegible] სახლის იაქთაღი ირიბად იყო გაწოლილი? გინდათ ნახოთ შეითან-ბაზრის [illegible] თახჩებიანი [illegible]? იქნებ გინდათ, მაგრამ „რაც გინახავთ, ველარ ნახავთ".

თათრის მოედანს უკვე გავცდით. სადღაა ვიწრო და დანგრეული ქუჩები! ყველგან სიახლეა: ახალი ტროტუარები, ბულვარები.

მივდივართ აბანოში, უძველეს სალაროს სარკმელს აქ, სადაც ის მუდამ გვხვდებოდა, მაგრამ სადაც გინახავთ, ველარ ნახავთ. რეკონსტრუქციის ტალღას სარკმელი ქუჩიდან დაუძრავს და იქვე შიგნით, დან მეორე კედელში გამოუჭრია.

გზაში განცდილი სიახლე [illegible] სარკმლის „რეკონსტრუქციის" გულში ლურსმანით გიჭედავს აზრს, რომ შევალთ აბანოში და აქაც „რაც გინახავთ, ველარ ნახავთ".

და აჰა მივადექით აბანოს სალაროს სარკმელს, სადაც ჩვენს შთაბეჭდილებებში ერთგვარი დისონანსი შეიტანა სამწუხარო ცნობამ — „ნომრები ყველა დაკავებულია".

— დიდხანს მოგვიხდება ცდა?

— დაახლოებით ხაში საათი, — იყო ხმა სარკმლიდან. თუ გეჩქარებათ, საერთოში შებრძანდით, აიღეთ ბილეთები—„მესამე პირველი".

— რას ნიშნავს, ამხანაგო „მესამე პირველი"?

— „პირველი" ნიშნავს პირველ კატეგორიას, პირველ ხარისხს და „მესამე" აბანოს ნომერია.

მივიღეთ რა მხედველობაში სასწრაფო დავალება, რომელიც გუშინ ვაკისრეთ სასწრაფო თათბირზე და რომლის შესრულებისათვის ჩვენთვის აუცილებელია [illegible] სისწრაფე და წინასწარ შემუშავებული გრაფიკისა და ვადების მტკიცედ დაცვა, გადავწყვიტეთ და ავიღეთ ბილეთები პირველი კატეგორიის საერთო აბანოში.

ჩავედით ვიწრო კიბით ბნელ დერეფანში. ეს კიბე გვინახავს, ეს დერეფანიც გვინახავს გვინახავს ეს სარკეც, რომელსაც მხოლოდ ის ნაკლი აქვს, რომ შიგ შენს სახეს ვერ დაინახავ.

— აქ წინათ ხომ ცალკე ნომერი იყო?

— ახლა საერთოა, — გვეპასუხება ტანსაცმლის შემნახველი და ბილეთებს გვართმევს.

„რაც გინახავს, ველარ ნახავ",—უთხარით ერთმანეთს, გავიხადეთ, ლითონის ნომრები „ქრისტეს ჯვარივით" ჩამოვიკიდეთ და ის იყო აბანოში უნდა შევსულიყავით, რომ კუთხის პატარა ოთახიდან შემოგვესმა ღრიალი.

— დავიწვი! დავიწვი! მიშველეთ. წყალი, წყალი!..

მივრბივართ ხმაურზე. კარებში გვეცა ტალახით შეთითხნილი მოქალაქე და [illegible] გაიქცა აუზისკენ, სადაც მოქალაქე შეაჩერეს შემდეგი სიტყვებით:

— ტალახწასმულს აქ შესვლა არ შეიძლება, სადაც წაისვით, იქ უნდა მოიცილოთ.

— იქ არც შხაპი მუშაობს, არც ონკანიდან გამოდის წყალი.

— შხაპი არც აქ მუშაობს. აუზში კი ვერ ჩაგიშვებთ.

— მიშველეთ, გადმოასხით წყალი, დამწვა ტალახმა. წყალი წყალი!

ჩვენ შევარდით [illegible] ოთახში. აუზიდან ამოვიღეთ ორი ვედრო წყალი. ამ დროს სადღაიდანც აბანოს მოსამსახურე გამოჩნდა. მესამე ვედრო წყალი იმანაც წამოიღო, დავბრუნდით უკან მოქალაქესთან, რომელიც ისევ განაგრძობდა ღრიალს და ხელით იგლეჯდა მთელ სხეულს.

ვასხით წყალი, ჩვენი ხელით გავაშორეთ ტალახი, ტალახს ალაგ-ალაგ ტყავიც გამოჰყვა და ჩვენს წინაშე აღმართა [illegible], [illegible] გაწითლებული მოქალაქე, რომელიც სიმწრისაგან იმანჭებოდა და გარეტებული წამდაუწუმ აქნევდა თავს, —რაც აბანოს მოსამსახურემ მადლობის ნიშნად მიიღო. — კარი გაიხურა და თავისი მოვალეობის ასრულება განაგრძო.

ჩვენ გაკვირვებული მივჩერებივართ ამ საცოდავ ადამიანს, რომელიც რუსულ ენაზე წამდაუწუმ იგინება და იწყევლის [illegible].

კვლევა-ძიებით ირკვევა, რომ ეს კაცი ახალგაზრდა მწერალი ყოფილა. როსტოვიდან ტფილისში სტუმრად ჩამოსულა. გაუგია, რომ ტფილისი გოგირდის აბანოებითაა განთქმული და მასაც, ჩვენი არ იყოს, პირველი კატეგორიის საერთო აბანო აურჩევია.... და ტარი [illegible] იმ იმედით, რომ მექისე წაუსვამდა. [illegible] მექისემ ტარის წასმაზე [illegible] გამხდარა თვითონვე ეცადა ეს მოვალეობა. წაუსვამს, მაგრამ არ [illegible] ერთი [illegible]: პირველი კატეგორიის აბანოს შხაპები და ონკანები იმისათვის არ არის, რომ აუცილებლად იქიდან წყალი მოდიოდეს. და როდესაც ტარმა ჭინჭარივით დაუწყო კბენა,—აქეთ შხაპს ეცა, იქით ონკანს, მაგრამ არ შეეშველით ჭირსა! წყალი წყალი წამლად რომ გინდოდეს, არ გამოდის და ის იყო, ჩვენს შემოსვლამდის, ყვირილი მოურთავს.

გავიგეთ რა ყოველივე ეს, აღშფოთებულებმა საყვედურით მივმართეთ აბანოს პასუხისმგებელ მუშაკს.

— ამხანაგო, რატომ მოგვჭერი თავი? რატომ შეგვარცხვინე სტუმართან, რატომ მექისე არ გაგზავნე ან შენ რატომ არ ასწავლე, როგორ უნდა ტალახის ხმარება?

— მექისეები გადატვირთული გვყავს, არ სცალიათ. მე კი კურსებს ხომ არ გავხსნი აქ, აბანოში.

— სირცხვილია, კაცო ეს. ეს კაცი მწერალი ყოფილა, შორიდან ჩამოსული. რა შთაბეჭდილებებით უნდა წავიდეს აქედან?

— მართლა მწერალია?—გვკითხა მან, ტანისამოსის მიღება შესწყვიტა და ჩვენსკენ გამოექანა. რა ვიცოდი, კაცო, შუბლზე ხომ არ ეწერა მაგ მამაცხონებულს? რამე იქნება ისე გადასცეთ, რომ მთლად არ გაგვთათხოს. უთხარით, რომ ეს მხოლოდ დღეს მოხდა ასე. ისე კი, ეს ისტორიული აბანოათქო. უთხარით, რომ აქ ხულ მწერლები ბანაობდნენ და ბანაობენთქო, დაუსახელეთ ერთი გურჯი, საიათნოვა..

— კი, მაგრამ ეს ხომ ტყუილი იქნება! საიათნოვას აქ რა უნდოდა?

— ვაჰ, ჩემმა მზემ! აქ ბანაობდა თურმე, როგორც ცნობილი მექისე [illegible] მამბობდა, საიათნოვას აი ამ ქვის [illegible] უყვარდა ჯდომა.

— კი მაგრამ იმ დროს წყალი მოდიოდა, თუ ისე იჯდა ლექსების სათხზავად?

—ასე გამიგონია და რა ვიცი! ამ კაცის [illegible] კი ამომიყვანეთ და თუ გინდათ უთხარით, რომ აქ პუშკინი ბანაობდათქო.

ამ შთაბეჭდილებებით დატვირთულებს მოგვაგონდა, რომ ჩვენც დასაბანი გვქონდა ტანი.

ერთ ჩვენთაგანს ახირებული ჩვეულება აქვს. თუ წელიდან მუხლებამდე რამე არ შემოიხვია, ისე საერთო აბანოში შესვლას თაკილობს. ჩვენც შევედით და ვბანაობთ აუზში. ვუყურებთ ერთ კაცს. გახამებული წევს ქვის ტახტზე. თითქმის [illegible] წუთი გავიდა და ეს კაცი არ დგება. შიშმა შეგვიპყრო: გული ხომ არ წაუვიდათქო. ამოვედით აუზიდან და ხელით შევეხეთ. მან [illegible] ამოვსებული თვალები მოიფშვნიტა და ერთერთ ჩვენთაგანს, რომელსაც წელზე პირსახოცი ჰქონდა შემოკრული, მაგრად [illegible].

— სად აგდიხარ ამდენ ხანს? [illegible] მიგდებ? ჩქარა დამბანე. თორემ [illegible] თავში. თვალებზე მაინც მომაცალე საპონი.

ჩვენ ისიც შევებრალეთ, გადავუღვარეთ თავზე ერთი კასრი წყალი: მან თვალები გაახილა, შემოგვხედა. ჩვენ დავარწმუნეთ, რომ არცერთი ჩვენთაგანი მექისე არ არის. მან ბოდიში მოიხადა და გახამებული გაერიდა მექისის საძებნელად.

ჩვენც გავყევით, რადგან თვითონ დავეძებდით მექისეებს. თურმე ნუ იტყვით, ამ აბანოში, სადაც ნაცვლად ხუთისა თოთხმეტი კაცი ბანაობს ერთდროულად, ერთი მექისე ყოფილა და ისიც „პრაქტიკანტი". გამოსულა გარეთ და ავერ მოქალაქეს ეჩხუბება: „მე მასაჟი გაგიკეთე, ამდენს გვანე, ეს ორი მანეთი რას [illegible] დამატებითო".

როგორც იქნა მოწინააღმდეგენი შევარიგეთ. მოქალაქემ ჩვენი ხათრით ერთი მანეთიც დაუმატა. მექისესა და გახამებულ მოქალაქეს შორისაც დავამყარეთ მშვიდობიანობა. მექისე შეუდგა მიტოვებული საქმის დასრულებას.

დავთვალეთ ხალხი, რომელიც მექისეს ელოდებოდა, და გამოვიანგარიშეთ, რომ ჩვენ მეათე და მეთერთმეტე რიგზე ვყოფილვართ, ამიტომ გამოვედით გარდერობთან, „[illegible]" ჩამოვსხედით ხამზე. მოვატანინეთ ჩაი. დავლიეთ ერთი, ორი. მექისის მოლოდინში ტანზე წყალი შეგვაშრა. მივჩერებოდით „საიათნოვას [illegible]" და ვიმეორებდით მის ლექსს „დამეხსენი", რომელსაც ბოლოში ერთი სტრიქონი დავუმატეთ:

„დამეხსენი ავკაცობა არ მინდა,
ქვეყანაზე გაჩენობა არ მინდა,
ავი სიტყვის შენთან მზობა არ მინდა,
ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა,
მე ასეთი ბანაობა არ მინდა."

გერმან შუბიძე

◇

თვითეულ კოლოფიდან 74 კილოგრამი პარკი

ჩხოროწყუს რაიონში მიმდინარე წელს დარიგდა 3.100 კოლოფი აბრეშუმი. გეგმით კოლოფიდან საშუალოდ 40 კგრ. პარკის მიღება არის გათვალისწინებული. რაიონმა იკისრა თვითეულ კოლოფიდან საშუალოდ 45 კილოგრამი მიიღოს და სახელმწიფოს ჩააბაროს გეგმის გადამეტებით 12.500 კილოგრამი პარკი. ჩხოროწყუს რაიონი ბოლშევიკურად იბრძვის ამ თვითვალდებულების გასანაღდებლად.

წინათ რაიონის მეაბრეშუმეებს დიდად აზარალებდა ივნისის სიცხეები, რაც ჭიის დაავადებას იწვევდა. წელს კი ინკუბაცია ყველგან შესრულდა და ამით თავიდან იქნა აცილებული სიცხიანი ამინდების გავლენა აბრეშუმის ჭიაზე. აბრეშუმის მთელი თესლი საინკუბაციო კამერებში გამოიყვანეს და ისე დაურიგდათ მეაბრეშუმეებს. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი აბრეშუმის ხარისხის გაუმჯობესებას.

რაიონში მრავლად გაჩნდნენ სტახანოველი მეაბრეშუმეები, რომლებიც მოსავლიანობის ზრდაში რეკორდებს ამყარებენ, მაგალითად, სოფელ ლეწურწუმის მცხოვრები ანტისა ბებია სანიმუშოდ უვლიდა აბრეშუმის ჭიას, პირველ 3 ჰასაკში კვებავდა 7-8-ჯერ დღეში, ჭიის ბინაში იცავდა ნორმალურ ტემპერატურასა და სინესტეს, ჭიას ხშირად უცვლიდა ნაძირს და ხელეთად ჰყავდა ჩელტებზე. ასეთი მუშაობის შედეგად მან 5 ივნისს ნახევარ კოლოფიდან მიმღებ პუნქტს ჩააბარა პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი 56,4 კილოგრამი და მის საფასურად მიიღო 1.350 მანეთი. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება მეაბრეშუმე ბებიამ 280 პროცენტით შეასრულა.

სოფელ ქვედაჩხოროწყუს მცხოვრებმა ციცო გაგუამ ნახევარი კოლოფი თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 41,4 კილოგრამი პარკი და მიიღო 800 მანეთზე მეტი. სოფელ ლეწურწუმის მცხოვრებმა გრიგოლ უბირიამ ნახევარი კოლოფიდან პუნქტს ჩააბარა 32 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი და მიიღო 550 მანეთამდე, გეგმა შეასრულა 160 პროცენტით და სხვ.

5 ივნისისათვის რაიონში სულ დამზადებული იყო 312 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, აქედან 75 პროცენტი პირველი ხარისხისა; ჩაბარებული პროდუქციიდან თვითეულ კოლოფზე საშუალოდ მოდის 74 კილოგრამი. აბრეშუმის პარკის დამზადების პირველი შედეგები მოწმობს, რომ ჩხოროწყუს რაიონის მიერ ნაკისრი ვალდებულება სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით 12.500 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ჩაბარების შესახებ — განაღდებული იქნება.

შ. ზარანდია.

◇ ◇ ◇

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

(„საქ. ჩაის" 10 ივნისის ცნობებით)

საბჭოთა მეურნეობები	მოკრეფილია [illegible]	ივნისის გეგმის შესრულება პროც.
სალიბაურისა	3.983	6,4
ჩაქვისა	25.332	13,8
ქობულეთისა	7.071	4,6
ლაითურისა	6.806	5,3
ნასაკირალისა	4.711	3.8
წულუკიძისა	1.459	7,2
დიდიჭყონისა	4.992	8,9
ლესიჭინისა	60	0,8
ნარაზენისა	3.922	6,6
ჯოლევჯიანისა	65	0,3
აჩიგვარისა	49	0,1
კოდორისა	819	7,2
ჩაის ინსტიტუტისა	2.269	8

პირველიდან 10 ივნისამდე საბჭოთა მეურნეობებში მოიკრიფა სულ 61.538 კგრ. ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც თვიური გეგმის 6,5 პროცენტს შეადგენს. ამ დღეებში ჩაის კრეფა სრულებით არ უწარმოებიათ წალენჯიხისა და ნატანების საბჭოთა მეურნეობებს. სეზონის დაწყებიდან 10 ივნისამდე სულ მოკრეფილია 1.119.205 კგრ. ფოთოლი ანუ წლიური გეგმის 24,1 პროცენტი.

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა საბჭოთა მეურნეობებმა ვერც მაისში შეასრულეს (გეგმა შესრულდა 98,4 პროცენტით). ივნისში კი ნაცვლად კრეფის ტემპების გაძლიერებისა, როგორც ზემოთმოყვანილი ცნობებიდან ჩანს, მუშაობა კიდევ უფრო შენელდა. შარშან ივნისის პირველ დეკადაში საბჭოთა მეურნეობებს 132.016 კგრ. ჩაი ჰქონდათ მოკრეფილი, თვის გეგმა 26,3 პროცენტით იყო შესრულებული.

წელს კი ამის მესამედიც არ არის. კერძოდ თუ სალიბაურის საბჭოთა მეურნეობას შარშან 10 ივნისისათვის თვიური გეგმა 42,9 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, ამჟამად აქ შესრულება 6,4 პროცენტს არ აღემატება. ასეთივე სურათია თითქმის ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობაში.

ალმაშფოთებელი ფაქტები

(„კომუნისტის“ მუშსოფლკორთა რეიდის მასალებიდან)

რამდენიმე თვეა, რაც „კომუნისტის“ რედაქციამ ადგილობრივს რაიონულ ორგანიზაციებს და პროკურატურის ორგანოებს დაუგზავნა გაზეთში გამოუქვეყნებელი წერილები, მაგრამ ზოგიერთი ორგანიზაცია და პროკურატურის ორგანო ბიუროკრატიულად უდგება მშრომელთა წერილების შემოწმებას, ადგილებზე სათანადო ზომების მიღებას და რედაქციისათვის პასუხის გაცემას. ამას ადასტურებს აბაშისა, სამტრედიისა, ცხაკაიისა და ჯუღელის რაიონებში ჩატარებული მუშსოფლკორთა რეიდის მასალები.

გასული წლის 8 დეკემბრის თარიღით აბაშის პროკურატურამ „კომუნისტის“ რედაქციისაგან მიიღო გამოუქვეყნებელი წერილი სათაურით „მოწაფეთა ავანსები გაიიმასქნა“. წერილი ეხებოდა სოფ. ქოლობნის არასრული საშუალო სკოლის დირექტორის ქსენია წივწივაძეს, რომელმაც მოწაფეებისაგან შეაგროვა ფული 8-10-12 მანეთობით სასწავლო ნივთების „შესაძენად“, მაგრამ ნივთების შეძენის ნაცვლად შეგროვილი თანხა პირადი საჭიროებისათვის გამოიყენა.

მასწავლებლის ასეთი უმსგავსი საქციელი მოითხოვდა პროკურატურის ყურადღების გამახვილებას და პროკურორმა ლოჩოშვილმა მართლაც „გაამახვილა“ ყურადღება ამ საქმისადმი, იგი მილიციას გაუგზავნა. მილიციის უფროსმა ამხ. **ჭანტურიამ** ეს საქმე მიანდო თავის მოადგილეს **ამხ. ჩიქოვანს.** თავის მხრივ ჩიქოვანმა წერილის გამორკვევა დაავალა ინსპექტორ ამხ. **კაჭარავას** და, როგორც იყო, ეს უკანასკნელი შეუდგა წერილში აღნიშნული ფაქტის შემოწმებას. კაჭარავას მონაკვლევიდან დასტურდება წერილის სისწორე, მაგრამ მილიციამ რატომღაც ბრალდებული წივწივაძის დაკითხვა საჭიროდ არა სცნო და „მოთავებული“ საქმე ჩიქოვანის მიერ ხელმოწერილი დასკვნით პროკურორს გადასცა. პროკურორმა არც კი გასინჯა მონაკვლევის სისწორე, საქმე მოსპო და რედაქციას აცნობა: „კორესპონდენცია წარმოებული გამოკვლევით არ დადასტურდაო“.

ხოლო ორი წერილი სათაურებით: „მოხერხებული კვაჭები“ და „უკანონოდ დაისაჯნენ“ პროკურატურამ ადგილზე შეისწავლა. ერთი მათგანი დადასტურდა, მაგრამ რედაქციისათვის პასუხის გამოგზავნა დაავიწყდათ. ერთ წერილზე კი — „ვინ ამახინჯებს სას.-სამ. არტელის წესდებას“ — მონაკვლევი მასალის მონახვა პროკურატურის მდივანმა **ჯანელიძემ** ორი დღის განმავლობაში ვერ მოახერხა.

ეს ფაქტები ადასტურებენ მშრომელთა წერილებისადმი აბაშის პროკურატურისა და მილიციის ორგანოების ფორმალურ ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას.

გური ქვანია ქორიკოს „მამა“ გახლავთ, მაგრამ ქორიკო იმყოფება დედასთან სამტრედიაში, ხოლო გური აბაშის რაიონის სოფ. ონტოფოში ბრძანდება მასწავლებლად. ქვანია გაცილდა ნინო რამიშვილს და ქორიკო სრულიად უყურადღებოდ მიატოვა. სასამართლოს დადგენილებით, ქვანიას მიესაჯა ბავშვისათვის ალიმენტის მიცემა, მაგრამ ექვსი წელია, რაც იგი თავს არიდებს ალიმენტის გადახდას. ამ საკითხზე რედაქციაში შემოსული წერილი გამოსარკვევად და კონკრეტული ზომების მისაღებად გაეგზავნა აბაშის პროკურორს. რომელმაც მოკვლევა მოახდინა და მაძიებლის დასაკითხავად საქმე სამტრედიის მილიციის უფროსს გაუგზავნა. უკანასკნელმა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში საქმის მოკვლევა დაავალა რწმუნებულის თანაშემწეს ამხ. ებრაელიძეს და ამის შემდეგ ქორიკოს საქმეზე თავი აღარავის შეუწუხებია.

მხოლოდ მიმდინარე წლის 23 მაისს დატრიალდა სამტრედიის მილიცია, როდესაც „კომუნისტის“ რეიდის მონაწილეებმა მოიკითხეს ამ საქმის ვითარება. ებრაელიძემ პირველად განაცხადა: „ნინო რამიშვილი ვეძებეთ და სამტრედიაში ვერ ვიპოვეთო“. მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. რამიშვილი მილიციის ცხვირწინ სამკერვალოში მუშაობს და ამ ამბიდან ათი წუთის შემდეგ ჩვენთან ერთად მილიციის ოთახში საუბრობდა. დარცხვენილმა ებრაელიძემ თავის გასამართლებლად დაუმატა „ახლა გამახსენდა, ეს საქმე დავავალე მილიციელ ლაშქარავას, მაგრამ ეტყობა არაფერი გამოურკვევიაო“. გამოირკვა, რომ ებრაელიძესა და ლაშქარავას საქმე შუაზე გაუყვიათ: ნაწილი ებრაელიძის მაგიდის უჯრაში აღმოჩნდა და ნაწილი ლაშქარავას სახლიდან მოიტანეს. აი მშრომელთა წერილებისადმი აშკარად ბიუროკრატიული მიდგომის აღმაშფოთებელი ფაქტი.

„კომუნისტის“ რედაქციის მიერ გაგზავნილი ცხრა წერილიდან ცხაკაიას რაიპროკურორმა ამხ. კვაშილავამ მხოლოდ ორ წერილზე მიიღო ზომები, დანარჩენ შვიდ წერილზე პასუხიც არ გამოუგზავნია. ჯუღელის ყოფილმა პროკურორმა **თოფურიამ,** საქმე რომ თავიდან მოეშორებინა, რედაქციიდან მიღებული 5 წერილიდან სამი მილიციას გადაუგზავნა, ორიც გამომძიებლებს შორის გაანაწილა, შედეგი კი ერთხელაც არ მოუკითხავს.

ასეთსავე უპასუხისმგებლობას იჩენენ აბაშისა და სამტრედიის მიწგანები მათთვის გაგზავნილი გამოუქვეყნებელი წერილების გამორკვევისა და რედაქციისათვის პასუხის გაცემის საქმეში. გასულ წელს აბაშის მიწგანს გადაეგზავნა კოლმეურნის ალექსანდრე ბოკერიას საჩივარი. რომელიც ადგილზე გამორკვევით მთლიანად დადასტურდა, მაგრამ მიწგანის გამგეს ამხ. ჩაგანავას დამნაშავეთა წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიუღია და რედაქციისთვისაც არაფერი უცნობებია.

კორესპონდენციებზე: „როცა თავმჯდომარე თვითნებობს“, „თუ არ მისცემ, შეჰპირდი მაინც“, „თავს არ იწუხებს“ და სხვ. სამტრედიის მიწგანს არავითარი ზომები არ მიუღია. ხოლო სამტრედიის ჯანგანყოფილების გამგეს ბოჭორიშვილს, როგორც მან განაცხადა, არ „სცოდნია“, რომ გამორკვეული წერილების შედეგები რედაქციას უნდა აცნობოს.

ზოგიერთი რაიაღმასკომის თავმჯდომარეც არ იჩენს მზრუნველ დამოკიდებულებას მშრომელთა წერილებისადმი. მაგალითად, წერილი, რომელიც ეხებოდა „გრესის“ საწარმოო უბნის ჩამორჩენას. რედაქციამ გამოსარკვევად გადაუგზავნა აბაშის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ნოდიას. ნოდიამ წერილის გამორკვევა დაავალა ინსტრუქტორ ესაკიას და ამით ყველაფერი „მოისტუმრეს“. 5 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ცხაკაიას რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ოჩიგავას გაეგზავნა 2 წერილი, მაგრამ პასუხი არა ჩანს.

ცხაკაიას განათლების განყოფილების გამგე ვ. განგია მშრომელთა წერილებისადმი თავისი ბიუროკრატიული მიდგომის ფაქტებს დროის „უქონლობით“ ხსნის.

განა ასე უნდა ზრუნვა მშრომელთა წერილებზე, მათს საჩივრებზე?

რედაქცია ამ კითხვაზე პასუხს საქმით მოელის.

რეიდის მონაწილენი: მ. მეძველია, გ. კაჭარავა, პ. ჩაგანავა, მ. არველაძე, ქ. ბოკელავაძე, შ. ფხაკაძე, გ. მუქერია, ო. კახიანი, მ. რუხაძე, ვ. რუსია, ლ. ბალავაძე, გ. სიხარულიძე, შ. გორხელიძე გ. გეგენავა, ივ. ტაბიძე, მიხ. საქარული და გრ. ხურცილავა.

კადრი ფილმიდან — „ცეცხლოვანი კოლხიდა“. ავტორი - რეჟისორი შ. ჩაგუნავა

კ ი ნ ო.

„ცეცხლოვანი კოლხიდა“

კინონარკვევი საჭირო და საინტერესო ჟანრია. ნარკვევის საშუალებით შესაძლებელია ფართო მაყურებელ საზოგადოებას შედარებით მოკლე დროის განმავლობაში შევაწოდოთ სასარგებლო ფილმები ამა თუ იმ აქტუალურ თემაზე, ოპერატიულად ვუჩვენოთ სოციალისტური წარმოებისა და საკოლმეურნეო სოფლის ყოველდღიური მიღწევები, გავაცნოთ კუთხეები და მხარეები, ვესაუბროთ სამედიცინო, აგრონომიულ და სხვა საკითხებზე. ყოველივე ამას უდიდესი პოლიტიკური, აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კინომრეწველობაში კინონარკვევების გადაღებას სათანადო ყურადღება ექცევა.

საქ. კინომრეწველობამ უკანასკნელ ხანებში ამ მიმართულებით ერთგვარი მიღწევები მოგვცა; ამის მაჩვენებელია ახალგაზრდა რეჟისორის შ. ჩაგუნავას „ცეცხლოვანი კოლხიდა“, რომელსაც ტფილისის კინოთეატრებში აჩვენებენ.

ხმოვანი კინონარკვევი „ცეცხლოვანი კოლხიდა“ გვაცნობს კოლხიდის ჭაობის ამოშრობის სამუშაოების ყველა მნიშვნელოვან უბანს. სურათში ოსტატურადაა გადაღებული ჭაობები, ლაქაშის და ნახევრად წყალმცენარეების პეიზაჟები, ტბები, კოლოები, ქვეწარმავლების ბუდე და თავშესაფარი. ეს არის ძველი კოლხიდის სახე.

ავტორი-რეჟისორი თანმიმდევრობით გადის დღევანდელი კოლხიდის ჩვენებაზე. გიგანტური მიწის მთხრელი ვემი „ხალტურინი“ ანგრევს და შლის უმწერის ბუდეებს, მუხლუხა ღონიერი ტრაქტორები ძირფესვიანად თხრიან, რაც კი წინ გადაეღობებათ. საწრეტ არხებში და წყლის უზარმაზარ მილებში მოქუხს ჭაობის დამპალი ხავსიანი წყალი. ცოცხლად ჩანს ნარკვევში კოლხიდის მშენებელი ინჟენრების, სტახანოველების სახეები.

რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწა წაართვეს ჭაობს. ნიადაგს ნაღმებით აფეთქებენ დასაწრეტი არხებისათვის. რგავენ ციტრუსების ნერგებს. გამოუსადეგარი ჭაობის ნიადაგი თანდათან იქცევა მშვენიერ ბაღნარად. ლიმონის, მანდარინის და გრეიფრუტის ძვირფასი, იშვიათი ნაყოფით სავსე კორდები მოაქვთ ჭაობის ახალ მოსახლეებს, კოლმეურნე გლეხებს. სჩანს, რომ მთელი კოლხიდა უახლოეს ხანში გადაიქცევა ციტრუსოვანთა ბაღნარად. ეს ოპტიმისტური პერსპექტივა ნარკვევში განსაკუთრებითაა ხაზგასმული.

ხალხური სიმღერები შესანიშნავად არის გამოყენებული გადაღების დროს. მუსიკა უთუოდ შეესაბამება სიუჟეტის განვითარებას და ნაწარმოების საერთო სტრუქტურას.

„ცეცხლოვანი კოლხიდა“ ახალგაზრდა კომკავშირელი რეჟისორის ამხ. შ. ჩაგუნავას მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

საქკინმრეწვმა უფრო სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი კინონარკვევების გადაღებას.

მო—ლი

◇

ახალი ხიდი მდინარე ჩოლაბურზე

ჯუღელ-ჩხარის გზაზე, ქ. ჯუღელის მახლობლად, მდ. ჩოლაბურზე შენდება ახალი ხიდი. აქ წინათაც იყო ხიდი, მაგრამ შარშანდელი წყალდიდობის დროს ადიდებულმა მდინარემ დაანგრია. ეს გარემოება მშენებელთა მიღებული აქვთ მხედველობაში, შარშანდელი ამბავი რომ არ განმეორდეს, განზრახულია კიდული ხიდის აგება.

მდინარის ორივე ნაპირზე პილონების სახით ამოყვანილი იქნება რკინა-ბეტონის საყრდენობები, რომლებზედაც გაიბმება ფოლადის ბაგირები, ამ ბაგირებზე ჩამოჰკიდებენ ხიდის სავალ ნაგებობას.

საყრდენობები უკვე ამოყვანილია.

სავალი ნაგებობა ხის მასალისაგან კეთდება.

ჩვეულებრივ ხის მასალით ნაგები ხიდი 6-7 წელს სძლებს, ამ შემთხვევაში კი ახალმა ხიდმა რომ უფრო მეტ ხანს იმსახუროს, იყენებენ საგზაო საცდელ—კვლევითი ინსტიტუტის ახალ ცდებს. ხსენებულმა ინსტიტუტმა ცდის სახით საქართველოში ააგო 5 ხის ხიდი, კონსერვირებული მასალისაგან. ფიქრობენ, რომ ასეთმა ხიდმა 25-30 წელს უნდა გასძლოს.

ამ წესს იყენებენ ჩოლაბურის ხიდის მშენებლობაზედაც, მით უმეტეს, რომ სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის ცდის პირველი შედეგები დადებითია.

12 ივნისს ტფილისში გაიმართა ამხ. ლ. ბერიას სახელობის გზარბენი. სურათზე: მორბენლები რუსთაველის პროსპექტზე.

თათბირი
ხულიგნობასთან ბრძოლის საკითხებზე

ამ დღეებში საქ. იუსტიციის სახკომისა და რესპუბლიკის პროკურორის ამხ. რამიშვილის კაბინეტში შესდგა გაფართოებული თათბირი ხულიგნობასთან ბრძოლის საკითხებზე.

თათბირს დაესწრნენ ტფილისის მილიციის ხელმძღვანელნი, მილიციის რაიგანყოფილებათა უფროსები, ტფილისის საბჭოს სახ. განათლების განყოფილების გამგე, უფროსი პროკურორები, რაიპროკურორები და სახალხო განათლების რაიგანყოფილებათა გამგეები.

წინა წლებთან შედარებით — ამბობს ამხ. რამიშვილი თავის შესავალ სიტყვაში,—ხულიგნობამ საგრძნობლად იკლო, მაგრამ მაინც სამარცხვინო ლაქაა ჩვენთვის, რომ იგი აქა-იქ კიდევ იჩენს თავს. თავისუფალი, ბედნიერი საბჭოთა მოქალაქე ამას ვერ შეურიგდება — ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მოქალაქეთა მყუდრო, კულტურული ცხოვრება და წინსვლა.

ხულიგნობა საერთოდ ასაკვეთია, ხოლო მით უფრო შეუწყნარებელია, როცა იგი სკოლებშიაც ახერხებს შეპარვას. მაგალითად, მე-43 სკოლაში ხულიგნების დავითხისა და გველესიანის შეჭრა, მოწაფეების ცემა, სკოლის გამგისადმი სიკვდილით დამუქრება, ან მე-46 სკოლის ხულიგანი მოწაფის ერვანდ კოჩაროვის აღვირახსნილობა განა იმას არ გვეკარნახებს, თუ რარიგ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ხულიგნების წინააღმდეგ საბრძოლველად, მეტადრე კი სკოლაში?

საბჭოთა პედაგოგი, ახალი, ბედნიერი თაობის აღმზრდელი, დაინტერესებული უნდა იყოს მოწაფის ცხოვრებითა და ყოფაქცევით არა მარტო სკოლის ფარგლებში არამედ მის გარეთაც. ხშირია შემთხვევა, როცა მოწაფე ამა თუ იმ უწესობას სჩადის, იგი შემჩნეულია, მაგრამ მასწავლებელი ასეთი მოწაფისათვის შენიშვნის მიცემით კმაყოფილდება, ხშირად პედაგოგები არ იბარებენ მშობლებს, არ აქცევენ მათს ყურადღებას ამ გარემოებაზე, არ აფრთხილებენ, მილიციის მუშაკებიც ამგვარ მოწაფეთა წინააღმდეგ ყოველთვის როდი ღებულობენ სათანადო ზომებს.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა: შ. წერეთელმა, ქ. ქიქვარიავამ, დედდარიანმა, ჯაფარიძემ, კილურაძემ, გიორგაძემ და სხვებმა დაასახელეს ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის დამაბრკოლებელი მიზეზები, აღნიშნეს, რომ ამ ბრძოლაში მარტო ადმინისტრატიული ზომების მიღებას დიდი ეფექტი არ მოაქვს.

თავის დასკვნით სიტყვაში ამხ. რამიშვილმა აღნიშნა სუსტი მუშაობა საგამომძიებლო და, განსაკუთრებით, სასამართლო ორგანოებისა, რომლებიც ამახინჯებენ დასჯის პოლიტიკას და ხშირად ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენენ ხულიგნებისადმი.

სკოლებში ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაშლელად თათბირმა მრავალი ღონისძიება დასახა: რაიპროკურორებს დაევალათ აუცილებლად ესწრებოდნენ განსაკუთრებულ სხდომებსა და სასამართლო პროცესებს, რომლებზედაც ხულიგან მოწაფეთა საქმეები ირჩევა. ტფილისის განათლების განყოფილებამ მასწავლებლებს უნდა მიუთითოს — გაამახვილონ ყურადღება მოწაფეებისადმი, ხულიგნობის ჩადენის თვითეული ცალკე შემთხვევაში სათანადო ზომების მისაღებად უნდა აცნობონ რაიპროკურორს და რაიმილიციას. პასუხისგებაში უნდა მიეცნენ ის მშობლები, რომლებიც უპასუხოდ და უყურადღებოდ ეკიდებიან თავიანთი შვილების აღზრდას. არ არიან დაინტერესებულნი მათი წინსვლით და ამით ხელს უწყობენ ბავშვთა ხულიგნობას.

მ.

ს პ ო რ ტ ი

ჩოგბურთელთა შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე

კავშირის პირველხარისხოვანი ჩოგბურთელი ქალი კაპანინოვა, რომელმაც დაამარცხა ტფილისის ჩოგბურთელი ზაკსი.

13 ივნისს მოხდა ა.-კავკასიისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ჩოგბურთელების უკანასკნელი შეხვედრა. ქამგოცევმა და ბერეჟნოიმ ზიგუნდისა და ფილიპოვის წინააღმდეგ ადვილად გამოამჟღავნეს თავისი უპირატესობა და შესძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება 6:4, 6:1 ანგარიშით. დანილოვმა და სერებრიანიკოვმა დაამარცხეს ბლოხი და რატნერი. კრუპენიკოვმა და გულიაშვილმა ჩეტვერიაკოვისა და კონკოვის წინააღმდეგ თამაშობაში პასიურობა გამოიჩინეს, რაც მოსკოველებმა კარგად გამოიყენეს და ერთსულოვანი იერიშებით მოიგეს თამაშის პირველი პარტია (6:2).

მეორე პარტიაში ა.-კავკასიელების თამაშის ხარისხს გაუმჯობესება დაეტყო. მათი კომბინაციები უფრო რთული და ძნელი მოსაგერიებელი გახდა. გულიაშვილმა ბადესთან დაიწყო თამაში. იგი მშვენივრად იყენებდა მოწინააღმდეგის მიერ გამოგზავნილ „მაღალ“ ბურთებს. საბოლოო გამარჯვება დარჩათ ა.-კავკასიელებს.

ქალთა შეჯიბრებაში პილაევამ და ლინდორფმა შესძლეს გოგოლაურისა და ჩიმერინის დამარცხება. კაპანინოვამ და შეველიოვამ დაამარცხეს კლდიაშვილი და ზაკსი.

18 შეჯიბრების შედეგად ორივე გუნდი ქულების თანაბარი რაოდენობით გამოვიდა (9:9), ამიტომ პილაევა—ჩეტვერიაკოვისა და სერებრიანიკოვ-კლდიაშვილის უკანასკნელმა შეხვედრამ ძლიერ დიდი ინტერესი გამოიწვია, მათი შეხვედრა სწყვეტდა შეჯიბრებაში გამარჯვებას.

ორივე მხარე ფრთხილად იწყებს თამაშს, ა.-კავკასიელების შეტევისაგან სტუმრები კარგად იცავენ თავს, შემდეგ კი მათ უმატეს ტემპს და მოიგეს პირველი პარტია 7:5, მეორე თამაშში ა.-კავკასიელებმა მეტი ენერგია გამოიჩინეს და შესძლეს მისი მოგება. გადამწყვეტი თამაში მეტად დაძაბული იყო, მოსკოველებმა ენერგიის უდიდესი დაძაბვით შესძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება.

ამრიგად, შეჯიბრებაში გამარჯვება მოსკოველ ჩოგბურთელებს დარჩათ 10:9 ანგარიშით.

მასწავლებელთა კადრების განაწილება

ტფილისის განათლების განყოფილებამ უკვე დაიწყო მასწავლებელთა კადრების გადასინჯვა-განაწილება. სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ტფილისის განათლების განყოფილებაში (რაიონების გამოკლებით) შეტანილია 210-მდე განცხადება. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლად დანიშვნას თხოულობენ ყოფილი მასწავლებლები, ინჟინრები, ეკონომისტები, აგრონომები და სხვ.

განცხადებათა მიღება გრძელდება. განათლების განყოფილებაში ყოველგვარი პირობაა შექმნილი, რომ განცხადების შემტანი ყველა საჭირო საკითხში გაერკვეს. განათლების განყ. გამგის მოადგილე ამხ. გრ. გოგოძე სპეციალურად ამ საკითხებზე მუშაობს. მასწავლებელთა კადრების საბოლოო განაწილება ივნისის დამლევს დამთავრდება.

◇

სამძიმრის დეპეშა

ალა სულთანოვის ოჯახს (ახალციხიდან)

თქვენთან ერთად ღრმად ვწუხვართ მტკიცე ბოლშევიკის, საყვარელი მეგობრისა და ამხანაგის ალას გარდაცვალებას. გულწრფელ სამძიმარს გიცხადებთ დიდი მწუხარების გამო.

რუხაძე, ჩიქოვანი, ა. შარაშენიძე, მანასოვი, ა. სევასოვი, ბაიბურთსკი, მ. მნაცაკანოვი, გ. ლაგუტინი, სვირსკი, სიჩუნიანი, ოდაბაშიანი, ხალილოვი, მურადოვი, ბაიბურთსკი, ვარტკეს, ბახში ალიევ, პაშა ამირხან ნაბი ოღლი.

◇

შემთხვევები

# თავდასხმა მკვლელობის მიზნით. ბრძოლის ქუჩაზე ჩხუბის დროს ა. გ. მელაძემ (ვახუშტის ქ. 39) მოკვლის მიზნით დანით მძიმედ დასჭრა მოქ. ა. ზ. ხარძრავა. დაჭრილი საავადმყოფოში მოათავსეს. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

ქ რ ო ნ ი კ ა

— **მწერალთა სახლში** 16 ივნისს, საღ. 8 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შოთა რუსთაველის საიუბილეო კომისია აწყობს ამხ. ალექსანდრე დუდუჩავას მოხსენებას თემაზე: „ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის საკითხი“.

◇

პარტკალენდარი

დღეს ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეებისა მორიგ თემებზე ქართულ ენაზე, საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალიზმი და დემოკრატია“, საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია „რჩეული „ლაშაში ფეხსაცმლის“ აგიტატორებისათვის (კიროვის რაიკომი), თემაზე: „აგიტაციის მეთოდისა და შინაარსის შესახებ“, საღამოს 8 საათზე.

საქ. ა. ლ. კ. კ.-ის კაბინეტი — ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისა და კომკავშირული აქტივისათვის თემაზე: „სახელმწიფო სოციალიზმის დროს“, ქართულ ენაზე, საღამოს 8 საათზე.

15 ივნისი ○○ ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ყოფ. მუშთაიდი) ○○ 15 ივნისი

ქართული ხალხური მუსიკის საღამო

I. გასტროლი მეგრული გუნდისა აკობიას ხელმძღვანელობით
ხალხური სიმღერები, ჩანგური, ცეკვა,
ახალი საკოლმეურნეო სიმღერები.

II. მონაწილეობენ სახოპერის მსახიობნი:
სოხაძე, ლოლუა, გერმიხაშვილი. ტოროშელიძე, ცირღილაძე.
კონცერტის დასაწყისი საღამოს 9-ნახ. საათზე.

ბაღში დას. ევროპ. ცეკვა.
ჯაზი გოლოვკინის ხელმძღვანელობით. პარკში და კონცერტზე შესასვლ. ბილეთის ფასი 1 მანეთი.
კინო-დარბაზი—ხმოვანი კინო (ახალი პროგრამა). სასულე ორკესტრი ნ. ა. ქილტერინის ხელმძღვ.

სახკინმრეწვის თეატრები

ოქტომბერი 6 8 10
დამკვრელი ნახ.-ხაზ. 6-30, 8-30, 10-30
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30
დადგმის მე-2 კვირა ახალი ხმოვანი სურათი „ცირკი“ რეჟისორი გ. ალექსანდროვი
ბილეთები წინასწარ იყიდება—12 საათიდან 5 საათ.
კინო კომ.კავშირელში ხმ. ჟურ. „ცეცხლოვანი კოლხიდა“
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11
ხმოვანი კომედია „ერთ ზაფხულს“ ივ. ილინსკის მონაწილეობით.
ზაფხ. თეატრი დასაწყ. საღ. 9 ს.
26 კომუნ. სახ. საზაფხ.
კომინტერნი საზაფხ.
ახალი ხმოვანი ფილმები
1) გაზაფხულის დღესასწაული, 2) ბავშვთა ყაზახები, 3) ბავშვთა ხელოვნება.
26 კომ. სახ. საზამთ. „ებიტი“
ახალი ამბები დასაწყისი 6-30 წ.
1. ხმოვ. კინო ნარკვევი მოსკოვის მეტროპოლიტენი, 2) ხმოვ. ჟურნალი № 22.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება პოეტ პავლე იაშვილის მამის
ჯიბრაელ იაშვილის
გარდაცვალებას. 14919.

ღრმად დამწუხრებული ცოლი ქესო, შვილები: ფილიპე, ვანო, მოსე და სამსონ ცოლ-შვილით, ქალიშვილი თებრონე იუწყებიან მათთვის ძვირფასი, დაუვიწყარი
გაბრიელ დავითის-ძე სალუქვაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 ივნისს ს. უხუთში. უფ.

სტეფანე და ვერა ელიაძეები შვილებით: თინათინ და ოთარით იუწყებიან ძვირფასი ბიძის
გაბრიელ დავითის-ძე სალუქვაძის
გარდაცვალებას. უფ.

შალვა, სიმონ, ვერა, მარიამ იაშვილები, თამარ გომართელი თავიანთი შვილებით მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელი, იშვიათი ადამიანის, ბიძის და ბაბუის
ჯიბო იაშვილის
გარდაცვალების გამო. გამოსვენება 16 ივნისს. 14901

და ლიუცია ილიას-ასული ქუთათელაძე, ქალიშვილი ლელიკო და ქმარი ექიმი მიხეილ რატიანი იუწყებიან
მანია ილიას-ასული რატიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე, გრიბოედოვის, 26. 7 საათზე. 14912

მეუღლე ნიკოლოზ, შვილები: ქეთო, ლიდა, ვალიკო, ლენა და რუსიკო მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მეგობრის და დედის
ვერიკო მელქისედეკის-ასულ მგალობლიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა გურიაში, ერკეთში, 16 ივნისს. 14902

ახალციხის რაიკომი და რაიაღმასკომი ღრმა მწუხარებით იუწყება საქ. კ. პ. (ბ), ა.-კ. კ. პ. (ბ) და ა.-კ. ცაკის წევრის, ახალციხის პარტიის რაიკომის მდივნის
ალა იზმაილის-ძე სულთანოვის
გარდაცვალებას 12 ივნისში. 14913

უახლოესი ამხანაგები: ზარამიძე, ჯორბენაძე, კობერიძე, როგავა, კეკელიძე, ნანაძე, ქვანია, ჯაფარიძე, კიკალეიშვილი, პაიჭაძე, შეწირული, ბიწაძე, გადილია, ყუველაშვილი, ნატროშვილი, ლოლაძე, ბერიძე, სიდამონიძე, ნანეიშვილი მწუხარებით იუწყებიან
ჟორა სამსონიას
გარდაცვალებას. 14911

კიროვის სახ. ამიერ-კავკასიის ინდუსტრიულ
ინსტიტუტში
მიღების პირობები 1936—37 სასწავლო წელს.

1. 1936-37 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტი აწარმოებს მიღებას შემდეგ სპეციალობათა პირველ კურსზე:
1) საამშენებლო კონსტრუქციები (მეცადინეობა ქართულ ენაზე).
2) წყალთა მეურნეობა (ჰიდროსადგურების მშენებლობა, ჰიდროენერგიის უტილიზაცია) (მეცადინეობა ქართულ ენაზე).
3) საცხოვრებელ და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა არქიტექტურა (მეცადინ. ქართულ ენაზე)
4) საამშენებლო სამუშაოთა წარმოება და ორგანიზაცია (მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე).
5) ელექტროენერგიის წარმოება, გარდაქმნა და განაწილება (მეცადინ. ქართულ ენაზე).
6) სამრეწველო საწარმოთა ელექტროფიკაცია (მეცადინ. ქართულ და რუსულ ენებზე).
7) მექანიკურ-საამწყობო წარმოება (მეცადინ. ქართულ და რუსულ ენებზე).
8) მადნეულ საბადოთა ექსპლოატაცია (მეცადინ ქართულ და რუსულ ენებზე).
9) არაორგანიულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (მეცადინ. ქართულ ენაზე).
10) სილიკატების ტექნოლოგია (მეცადინ. რუსულ ენაზე).

2. პირველი 2 წლის განმავლობაში სწავლება ყველა სპეციალობისათვის იწარმოებს საერთო ტექნიკურ ფაკულტეტზე.

3. საბუთების მიღება იწარმოებს 1936 წ. 1 ივლისიდან 25 ივლისამდე სამთო-ქიმიური ფაკულტეტის შენობაში (სამოსწავლო შესახ. № 2/4) საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

4. განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე დეტალური ავტობიოგრაფიის და შემდეგი საბუთების თანდართვით:
ა) მოწმობა საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დედანი);
ბ) სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულების მოწმობა იმის შესახებ, რომ შემსვლელი არ არის დაავადებული ისეთი სენით, რომელიც ხელს შეუშლის უმაღლეს სასწავლებელში მეცადინეობას;
გ) პასპორტი შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს პირადად;
დ) 3 ფოტოსურათი, შემსვლელის მიერ ხელმოწერილი და სახელმწიფო დაწესებულების მიერ დამოწმებული.

5. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება ან მოწმობა საშუალო სკოლის ექსტერნატის წესით დამთავრების შესახებ.

შენიშვნა: ის პირნი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ტექნიკუმი, მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ დაწესებული საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ, გარდა გამოშვებისა 5% ის ან-ში.

6. ინსტიტუტში უგამოცდოდ მიიღებიან ის პირები, რომელთაც აქვთ ატესტატი საშუალო სკოლის ფრიადოსნად დამთავრების შესახებ.

7. ინსტიტუტში შემსვლელი დანარჩენი მოქალაქენი აბარებენ სავალდებულო მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: მათემატიკა (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია—წერა და ზეპირი), ფიზიკა, ქიმია, პოლიტცოდნა (ზეპირი), რუსული ენა (წერა და ზეპირი).

ქართულ სექტორზე შემსვლელნი, გარდა ზემოჩამოთვლილი საგნებისა, აბარებენ დამატებით გამოცდას ქართულ ენაში (წერა და ზეპირი).

არქიტექტურულ სპეციალობაზე შემსვლელნი დამატებით აბარებენ გამოცდებს ხატვასა და ხაზვაში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1936 წ. 1/VIII-დან 25/VIII-მდე ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლესი განათლების კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

ს/კ. ინდ. ინსტ-ის დირექტორი
პროფ. ვაშაყმაძე.

602

მიიღება ხელისმოწერა
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
„კომუნისტის“ ყველა გამოცემაზე
1936 წლის ივლისისათვის და წლის ბოლომდე

გაზეთების და ჟურნალების დასახელება	პერიოდულობა	ხელის მოწერის ფასი			
		ერთი თვით		6 თვით, წლის ბოლომდე	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
გ ა ზ ე თ ე ბ ი:					
„კომუნისტი“	ყოველდღიური	2	50	15	—
„პროლეტარი“ (სომხ. ენ.)	„	2	50	15	—
„ენი-ქენდი“ (თურქულ ენ.)	„	1	25	7	50
„ახალგაზრდა კომუნისტი“	„	2	50	15	—
„ნორჩი ლენინელი“	ექვსდღიური	—	25	1	50
ჟ უ რ ნ ა ლ ე ბ ი:					
„პარტიული მშენებლობა“	ყოველთვიური		50	3	—
„მშრომელი ქალი“	ყოველთვიური	—	40	2	40
„ბოლშევიკი“	„	—	50	3	—
„ახალგაზრდა ბოლშევიკი“	„	—	50	3	—
„პიონერი“	„	—	50	3	—
„ოქტომბრელი“	„	—	50	3	—
„კარმირ-ჩილმარი“ (სომხ. ენ.)	„	—	50	3	—
„ენი-ქიუვე“ (თურქულ ენ.)	„	—	50	3	—

ხელისმოწერა უნდა ჩააბაროთ „სოიუზპეჩატს“, ფოსტას, წერილ-დამტარებლებს, ხელმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე.

უკანასკნელი ვადაა 27 ივნისი.

ექიმი ი. ჯეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.
მიღება დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.
მისამართი: კამოს ქ. № 72.

მეგობრები: დვალი, ავალიანი, კანდელაკი, თვარაძე, გოდერძიშვილი, ნიორაძე, კორინთელი, ადამიანი, აბრამიშვილი, დოლიძე, თანაგრძნობას უცხადებენ საზბანკის საქკანტორის მთავარ ბუღალტერს კოწია იაშვილს მისი მამის
ჯიბო იაშვილის
გარდაცვალების გამო. 14898

დამწუხრებული მშობლები: ისაკი, მართა შვილებით, ბიძაშვილი ცოლ-შვილით ელიკა, ვახტანგ იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა
ინჟინერი დიმიტრი (მიტრო)
ჭამუტაშვილი
დაკრძალვა 16 ივნისს ს. დიღომში. 14903

დები: თამარ, ვერა, სიძეები: სპირიდონ პაპავა შვილით ვაჟათი და ისაკი ბოკუზოვი შვილით ვალიკოთი იუწყებიან, რომ 11 ივნისს გარდაიცვალა
ჟორა (გიორგი) სამსონია
დაკრძალვა 16 ივნისს ლანჩხუთში. 14884

მშობლები: გრიგოლ, ნატა, და-ძმანი: ანთიმოზ, დათიკო, ალექსანდრე, ევგენი, სიმონ, არტემ, შალიკო, რძლები: პაშა, ელისაბედ, დუსია, ნინო იუწყებიან
უსტინე (ფაცია) ჩხეტიანის
დაკრძალვა თექვსმეტს [illegible]. 14899

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული—8446